ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თეა შილაძე

დიფერენცირებული მიდგომები სწავლებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში - დიფერენცირებული მიდგომები სწავლებაში_განხილულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის შესაძლებლობა მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებებისა და სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე; დიფერენციაციის საკითხები. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლისა და სწავლების თავისებურებები, მათი სწავლების სტრატეგიები.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დავამუშავეთ ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები და შესაბამისი ბიბლიოგრაფია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უკვე გამოყენებული დიფერენცირებული მიდგომები სხვადასხვა საგანში.

შევიმუშავეთ კვლევისთვის საჭირო კითხვარი, ჩავატარეთ კვლევები ხულოს, შუახევის, ქედის და ბათუმის 22 საჯარო და კერძო სკოლაში. ძირითადად გამოვიყენეთ გამოკითხვის ანკეტური მეთოდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, მოწინავე გამოცდილების ანალიზი. ვიკვლიეთ როგორია მათი დამოკიდებულება განათლების სისტემაში შეტანილი სიახლეების მიმართ, რა სიხშირით იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს სწავლებაში, დავაკვირდით პედაგოგთა დამოუკიდებელ მიდგომას და საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში აქტიურ გამოყენებას, შევისწავლეთ არის თუ არა დიფერენცირებული სწავლება შედეგზე გასვლის საშუალება და რა მხრივ ისურვებდნენ კონკრეტული მიდგომების გაუმჯობესებას. კვლევამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა და თანამედროვე სტანდარტები მიმართულია განათლების ჰუმანიზაციაზე და სწავლების ინდივიდუალიზაციაზე, თუმცა არასათანადოდ უწყობს ხელს თითოეული მოსწავლის რეალიზაციას. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში შემუშავებული გვაქვს არსებული საკითხის მყარი უპირატესობები და დანერგვის გზები. ვფიქრობ, რომ სამაგისტრო ნაშრომი - დიფერენცირებული მიდგომები სწავლებაში_ დიდ დახმარებას გაუწევს სკოლაში თითოეულ პედაგოგს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს.

Annotation

The Differentiated Approaches in Teaching discusses the possibility of modification of the National Curriculum in the Master's Degree in accordance with the individual's peculiarities and educational needs in accordance with the study objectives; Differentiation issues. Peculiarities of learning and teaching of children with learning abilities, their teaching strategies.

In the process of working on master's thesis, we have researched and related bibliographies: Differentiated approaches that have already been used in general educational institutions in different subjects.

We have prepared a questionnaire for research, conducting research in Khulo, Shuakhevi, Keda and Batumi 22 public and private schools. Mainly we used the survey questionnaire, in-depth interviews, the analysis of advanced experiences. surveyed their attitude towards the education system in the news, how often do you use a differentiated approach to teaching, the teachers observed independent approach and the necessary lessons in the process of active use, we studied whether the differentiated learning the outcome of the scoring and what they would like in particular Uli approaches for improvement. The survey assured us that the Georgian general education system and modern standards are aimed at humanization of education and individualization of teaching, but they do not help to realize each student. On the basis of analysis of the results of the survey we have worked on the advantages of the current issue and ways of introduction. I think that the Master's Thesis Differentiated Approaches in Teaching will provide great assistance to each teacher in the school, head of educational programs.

შესავალი

საზოგადოების განვითარება, 21-ესაუკუნეში, სულ უფრო მეტად უკავშირდება სიახლეებსა და ცვლილებებს. თვით ცვლილება და ცხოვრებაში მისი გატარება კი სამეცნიერო კვლევის საგანი გახდა.

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე და მისთვის შესაბამისი ცოდნის მიცემაზე. ამასთან, სწავლებაში მოიაზრება არაერთი კონკრეტული გზისგავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება. ასეთი ინდივიდუალიზებული სწავლების სქემა სიახლეების განსახორციელებლად მასწავლებლის მზაობას გულისხმობს. პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოსა და რესურსების შექმნა ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა.

თანამედროვე სტანდარტები ფართოდაა მიმართული განათლების ჰუმანიზაციაზე და სწავლების ინდივიდუალიზაციაზე, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის რეალიზაციას. ამ მოთხოვნის შესრულების ეფექტური საშუალებაა სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. მსგავს მიდგომებს ხშირად ვიყენებთ პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც ვგეგმავთ გაკვეთილს, ვცდილობთ ვუპასუხოთ კითხვას: როგორ გავაკეთოთ ისე, რომ მოსწავლემ ისწავლოს იმისდა მიუხედავად, როგორი საშუალებებიც და რისი პოტენციალიც აქვს მას.

დიფერენცირებული მიდგომა სწავლებაში პირველად გამოიყენეს XX საუკუნის დამდეგს და ის დაკავშირებულია ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის წარმომადგენლების სახელებთან.

მოსწავლის ინდივიდუალიზაციის პირობა და საშუალება, ხოლო მისი მიზანია ყოველი მოსწავლის მისი შესაძლებლობებისა და ნიჭიერების დონეზე სწავლება, სწავლების მისადაგება სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებებზე.

ნაშრომის აქტუალობა:

ახალი სკოლის მოდელი განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის ნაწილია და მისიას პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც ყველა მოზარდს საკუთარი პოტენციალი

სრეალიზების საშუალებას მისცემსდა XXI საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნით შეაიარაღებს.

დიფერენცირებული სწავლება გვთავაზობს მოსწავლის ნიჭის, მიდრეკილებისა და ინტერესების ყოველმხრივ გათვალისწინებას. სწავლების დიფერენციაცია თანამედროვე ეტაპზე არის განათლების დემოკრატიზაციის და ჰუმანიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი.

მიზნად დავისახე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაგალითზე დაგვედგინა პედაგოგების საგაკვეთილო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენების სიხშირე, ეფექტურობა, უპირატესობები, დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილეთ სხვადასხვა კვლევა და დავამუშავეთ წყაროები.

კვლევის საგანი: დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის განმსაზღვრელი.

კვლევის მიზანი: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დიფერენცირებული სწავლების მიდგომების შესწავლა და ანალიზი, მნიშვნელოვანი ფაქტორების, მოდიფიკაციის ძირითადი ასპექტებისა და კლასში გამოყენების სიხშირის დადგენა; სხვადასხვა აკადემიური უნარის მოსწავლეებთან მუშაობის პრობლემატიკა.

კვლევის ამოცანები

- სკოლებში დიფერენცირებული სწავლების მიდგომების საჭიროების დადგენა, სიხშირის სტატისტიკა და ამ მიდგომის დადებითობის შესწავლა/შეფასება.
- დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა და შეთავაზება მასწავლებელთათვის.
- სწავლების, სწავლისა და ქცევის მართვის სტრატეგიების განსაზღვრა სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას.

კვლევის მეთოდები: კვლევის მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები - გავაანალიზეთ განათლების ფაკულტეტის, დაწყებითი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის განსახორციელებლებთან კი ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა, ასევე ანკეტური

გამოკითხვითა და ინტერვიუს მეთოდით პირისპირ და ონლაინსივრცეში ვიკვლიეთ სკოლის პედაგოგები. შევისწავლეთ და გავაანალიზეთ უკვე პრაქტიკაში ნაცადი გაკვეთილები დიფერენცირებული სწავლების მიდგომის გამოყენებით.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აჭარის რეგიონის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: მასწავლებლის დამხმარე მეთოდური ლიტერატურა შეივსო დიფერენცირებული სწავლების შესახებ ახალი კვლევის შედეგებით. ჩატარებული კვლევა გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ დიფერენცირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სწავლების ჭრილში ნაკლები ინტენსივობით გამოიყენება.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებისათვის არსებული წყაროების, უახლესი კვლევების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ნაშრომში მასალები წარმოდგენილია ნიმუშების, სქემების, პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილების გაზიარების სახით.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წამოადგენს: სტუდენტები, მასწავლებლები,

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, ორი თავის, 10 პარაგრაფის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

თავი I სწავლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, პირველ პარაგრაფში - დიფერენცირებული სწავლების ასპექტები - განვიხილავთ დიფერენციაციის თეორიის არსს; თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განსახორციელებელ აქტივობებს, დიფერენციაციის თეორიის მოდიფიცირებას; სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დიფერენცირებული მიდგომები სწავლის მოდალობების გათვალისწინებას,როგორიცაა სმენითი, ვიზუალური, კინესთეტიკური, თითოეულის განხილვა/აქტივობები.

მეორე პარაგრაფში - დიფერენცირებული სწავლების ორი მხარე - განვიხილავთ ექპერტებისა და მეცნიერ-მუშაკების შეხედულებებს დიფერენცირებული სწავლების

აუცილებლობასა და დანერგვაზე. მათი მხრიდან არგუმენტირებულ მსჯელობებს თუ რა შედეგებს მოგვიტანს დიფერენცირებული სწვლება სკოლებში, ამ მიდგომების პრივილეგირებულ და დადებით ფაქტორზე.

სწავლის სტილის თავისებურებებში ვსაუბრობთ, თუ რას გულისხმობს სწავლის სტილი; თეორიებს თანამედროვე სწავლის შესახებ; ასევე თეორიული ცოდნის გამოყენებას საკლასო ოთახში;მოზარდთა და ზრდასრულტა შემეცნებითი განვიტარების თავისებურებებს; დ.კოლბის სწავლების მოდელს, რომელიც დღეს მიჩნეულია ეფექტიანი სწავლების საფუძვლად და რა მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ განსხვავებებს სასწავლო პროცესში.

დიფერენცირებული სწავლების უპირატესობებში კი გთავაზობთ დიფერენცირებული მიდგომების დროს მოსწავლის მოსწრების დონის განსაზღვრასა და ადაპტირებული (შედარებით ადვილი) დავალებების შერჩევას; ასევე მიმდინარე, თემატური და შემაჯამებელი დავალებები სხვდასხვა უნარ-ჩვევების კუთხით. დიფერენცირებული სწავლების უპირატესობების დადგენა. ცხრილის სახით ტრადიციული სწავლებისა და სწავლების დიფერენცირებული მიდგომის შედარებითი დახასიათება.

მეორე თავის - **დიფერენცირებული სწავლება - ფანჯარა შესაძლებლობების სამყაროში,** პირველ პარაგრაფში მოსწავლის საჭიროების შესაძლებლობა და ინტერესების აღრიცხვის ფორმები, გთავაზობთ სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესების, დამოკიდებულებების, წინარე ცოდნისა თუ გაგება-გააზრების სწრაფად და სიღრმისეულად შეფასებისათვის. ინსტრუმენტების აღწერილობაში მოცემულია რეკომენდაციები, თუ რა მიზნით როდის და როგორ შეიძლება მათი გამოყენება.

ამავე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია მოქნილი დაჯგუფება, დაკვირვება, უკუკავშირი. საუბარია იმაზე, რომ განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლებისთვის საჭიროა სასწავლო გარემოს შექმნა. ესენია: მოქნილი დაჯგუფება, დაკვირვება და ეფექტური უკუკავშირი. მათი გათვალისწინება აუცილებელია როგორც გაკვეთილის დაგეგმვისას, ისე მისი მიმდინარეობისას, რადგან ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გაკვეთილის დინამიკაზე, მოსწავლეების მოტივაციასა და სასწავლო მიზნების მიღწევაზე. ასევე განხილული

იქნება დაჯგუფების ტიპები ცხრილის სახით, ჯგუფური და დამოუკიდებელი მუსაობის დროს მუდმივი დაკვირვება მოსწავლეებზე და ჩანაწერების გაკეთება, ფორმალური და არაფორმალური უკუკავშირის ეფექტურობა.

პარაგრაფში - განმავითარებელი შეფასება - განვიხილავთ სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესების, დამოკიდებულებების, წინარე ცოდნისა თუ გაგება-გააზრების სწრაფად და სიღრმისეულად შეფასებისათვის. ინსტრუმენტების აღწერილობაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, თუ რა მიზნით, როდის და როგორ შეიძლება მათი გამოყენება. დანართის სახით მოცემულია ცხრილი, რომელსიც მითითებულია, საშუალოდ რა დრო დასჭირდეს მასწავლებელს კონკრეტული ინსტრუმენტის მოსამზადებლად და მიღებული ინფორმაციის გასაანალიზებლად. და გაანალიზოს ამ ინსტრუმენტის დახმარებიტ მიღებული ინფორმაცია.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებაში განხილულია სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეების განათლებისა და მათი სოციალური ინტეგრაციის პროცესში. სწავლების, სწავლისა და ქცევის მართვის სტრატეგიები სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის სოციალურად მისარები ქცევის სწავლებას.

შემდეგ პარაგრაფში განვიხილავთ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება, დაგეგმოს გაკვეთილები, რომლებზეც ის შეძლებს მოსწავლეების ინტერესების გაღვივებასა და სწავლის მოტივაციის გაზრდას, მათი ჩართულობისა და ყურადღების მაქსიმალურად შენარჩუნება. მოცემული ინსტრუმენტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დრო დასჭირდება მასწავლებელს მის მოსამზადებლად შინაასრობრივი თვალსაზრისით. ასევე, რა დროს მოითხოვს მათი გამოყენება საკლასო ოთახში.

კვლევის შედეგებში ვსაუბრობთ არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სტატია, წიგნი, მეცნიერული შეფასებებზე, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის დროს დავამუშავეთ და ასევე ჩავატარეთ კვლევა ინტერვიუს მეთოდით, სადაც

რესპოდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პასუხი გაეცათ, როგორც ღია, ისე დახურული შეკითხვებისთვის.

სარჩევი

შესავალი ----------

თავი I სწავლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა ----------

§1. დიფერენცირებული სწავლების ასპექტები ----------

§2. დიფერენცირებული (პროფილური) სწავლების ორი მხარე ----------

§3. სწავლის სტილის თავისებურებები ----------

§4. დიფერენცირებული სწავლის უპირატესობები ----------

თავი II დიფერენცირებული სწავლება - ფანჯარა შესაძლებლობებისსამყაროში -

§1. მოსწავლის საჭიროების შესაძლებლობა და ინტერესების აღრიცხვის ფორმები

§ 2. მოქნილი დაჯგუფება, დაკვირვება, უკუკავშირი ----------

§ 3. განმავითარებელი შეფასება ----------

§4. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება ----------

§5. დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები ----------

დასკვნები და რეკომენდაციები ----------

გამოყენებული ლიტერატურის სია ----------

თავი I. სწავლის ხელშემწყობი გარემოს შექმნა

1. დიფერენცირებულისწავლებისასპექტები

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტურია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების შინაარსი, პროცესი, პროდუქტი. სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები. პრაქტიკაში გამოყენებისას:

- მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
- მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
- სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
- მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
- სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება,შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს სასწავლო მასალების, რესურსების, სასწავლო გარემოს მოდიფიცირებას:. მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი: 1. სწავლის შესაძლებლობა; 2. სწავლის მოტივაცია; 3. სწავლის ეფექტიანობა. ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ მოსწავლის მზად ყოფნას, ინტერესსა და სწავლას. ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს "სტანდარტული" მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი

განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომების წავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება სასწავლო მიზნით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სწავლის მოდალობებია: სმენითი, ვიზუალური, კინესთეტიკური, ვიზუალურად შემსწავლელები.

ვიზუალურად შემსწავლელები კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა "დაინახონ" სასწავლი მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვქონდეს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას. ამისთვის მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

მკვლევარები გვთავაზობენ ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა ადამიანის შესახებ სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ; ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად; მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ ტექსტი და არა სხვამ წაუკითხოს; ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს; უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება, ხშირად ამჟღავნებენ ემოციებს სახის გამომეტყველებით, უყვართ "ფაზლები" და მსგავსი გასართობები. უნდა გვახსოვდეს, რომ კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის "დანახვა".

სმენით შემსწავლელები კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია ის, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსა სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა, იქნება ეს ლექცია თუ დისკუსია, მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალებაც. ექსპერტები წერენ: "როდესაც ამ კატეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად

შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკისკენ მიდრეკილება აქვთ".

ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს. მასწავლებლები, რომლებიც თითქმის მთლიანად სმენით სწავლებას ეყრდნობიან, შესაძლოა პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ სხვა მოდალობების მოსწავლეებთან ექნებათ საქმე, განსაკუთრებით კი _ კინესთეტიკურებთან. მეცნიერები გვთავაზობენ სმენით შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: ისინი სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს; მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უწევთ ჯდომა; რეაგირებენ ფიზიკურ წახალისებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა, ურჩევნიათ კონკრეტული თემის ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი გრძნობენ საკლასო ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან ამ მახასიათებლის გავლენის ქვეშ; ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან; კარგი მეზღაპრეები არიან; წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

კინესთეტიკურად შემსწავლელებთან კინესთეტიკურად შემსწავლელ მოსწავლეებს პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლო მასალა მათთვის გასაგები იყოს. მკვლევარები გვთავაზობენ კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას: უკეთესად იმახსოვრებენ, როდესაც თავად ქმნიან, ეს ურჩევნიათ ნახვას ან მოსმენას; პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტიურობას საჭიროებს;

2. დიფერენცირებული, პროფილური სწავლების ორი მხარე

დიფერენცირების კონცეფცია ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ სკოლებში სწავლების, გადაწყვეტილებების მიღების, ადამიანური, თუ სხვა რესურსების მართვის პრინციპებისა და პროცესების გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, თუ სკოლებში ასევე პოზიტიური

ცვლილებების მოტივაციას ვხვდებით და ვახალისებთ. დიფერენცირების მიდგომა ასევე ეფუძნება ცოდნას, რომ მრავალფეროვანი პრობლემების გადაჭრა შედარებით უფრო ეფექტიანია არაერთგვაროვანი ინსტრუმენტებითა და სახელმწიფო პროგრამების გამოყენებით. სკოლების შესაძლებლობებისა და მოტივაციის გაზრდა შესაძლებელია მათი განვითარებისთვის ერთი მხრივ ბარიერების მოხსნის გზით, მეორე მხრივ კი კონტროლისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე. თავის მხრივ ამ თემასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იგრძნობა, ექსპერტები ამბობენ, რომ ყველაზე მთავარი ცვლილება დიფერენცირებული სწავლებაა. ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მიმართულებების გაყოფა, რათა მოსწავლეებმა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეძლონ შესაბამისი მიმართულების არჩევა. ეს, რა თქმა უნდა, რომელიმე საგნის ამოღებასა და გამორიცხვას არ ნიშნავს. საბაზისო უნარებს, რაც, მაგალითად, მათემატიკაშია საჭირო, ჰუმანიტარულ მიმართულებაზე მყოფი მოსწავლეც ისწავლის. როცა საგნობრივ პროგრამებზე მუშაობისას, უფრო დეტალურად გამოჩნდება რომელ საგნობრივ ჯგუფში რა და როგორ შეიძლება შეიცვალოს. ისეთ დოკუმენტში, როგორიცაა განათლება 21-ე საუკუნეში, რომელიც იუნესკომ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შექმნა, წერია, რომ განათლება უნივერსალური უნდა იყოს. განათლების სფეროში კარგი სისტემა ისაა, რომელსაც შედეგი მოაქვს. სისტემის შეცვლა არაფერს ნიშნავს, თუ ამ ცვლილებამ შედეგი არ მოიტანა. მთავარი მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული მომზადება-განვითარებაა. ამ ადამიანებისა და შესაბამისი მოტივაციის გარეშე გინდა დიფერენცირების მეთოდი შემოიღე და გინდაც უნივერსალური, შედეგი იქნება ისეთი, როგორიც ახლა გვაქვს, – აცხადებს გია მურღულია. ის გადაწყვეტილებას, დიფერენცირებული სწავლების შემოღების თაობაზე, ზოგადს უწოდებს და დასძენს, რომ მას ძალიან ბევრი თანმდევი დოკუმენტი უნდა ახლდეს. რათა სიახლე ხარისხიანად დაინერგოს.

სკოლებს არჩევანის საშუალება აუცილებლად უნდა მიეცეთ და განათლება მრავალფეროვანი უნდა იყოს. აღნიშნავენ, რომ საზოგადოება და სახელმწიფო სკოლებს მეტად უნდა ენდონ. სკოლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მათ თავიანთი ორიგინალური სახე, თავიანთი პოტენციალი ისე წარმოაჩინონ, რომ

საზოგადოების წინაშე საუკეთესო სახით წარდგნენ. ფიქრობენ, რომ ეს დღევანდელი მართვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რასაკვირველია, კარგი იქნება, თუ თავისუფლების ხარისხი გაიზრდება და სკოლებს არჩევანის საშუალება ექნებათ, რადგან დაკვეთა ერთფეროვანი და ერთგვარი არსად არაა. მავანს უნივერსალური განათლება სჭირდება, მავანს კი – დიფერენცირებული. სკოლებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენის საშუალება უნდა მიეცათ. დღეს, თითქოს დეკლარირებულია, რომ სკოლა თავისუფალია, მაგრამ ეროვნული სასწავლო გეგმა ამ ერთლიტრიან ჭურჭელს ბოლომდე ავსებს და გვეუბნებიან – შეგიძლიათ თავადაც ჩაასხათ რაც გინდათო. მოგეხსენებათ, ეროვნული საწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას. ეს შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ ძალიან ბევრი სკოლა მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით მოქმედებს და არაფერს ახალს არ ამატებს. ადამიანს თავისუფლებას თუ აძლევ, შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს, რომ ეს თავისუფლება გამოიყენოს, – მიიჩნევენ ექსპერტები.

დიფერენცირებული სწავლების დადებით მხარეებზე საუბრისას განათლების სფეროს სპეციალისტები, პირველ რიგში, საგანმანათლებლო სისტემის გამრავალფეროვნებას ასახელებენ. ამით მოსწავლეთა სხვადასხვაგვარი ინტერესის დაკმაყოფილების მეტი საშუალება გაჩნდება და მოსწავლეს არჩევანის საშუალება გაეზრდება, რათა საკუთარი ინტერესების შესაბამისად ისწავლოს. მითუმეტეს, რომ საშუალო საფეხური სავალდებულო არაა. რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება ამ იდეას ნეგატიური ახლდეს, ამბობენ, რომ განხორციელება შეიძლება არადამაკმაყოფილებელი იყოს. მაგალითად, ის, რომ ასეთი პროფილური სწავლება ქვეყანაში არასაკმარისი მასშტაბით განხორციელდეს და ყველას მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს, რადგან აღმოჩნდეს, რომ მოთხოვნის შესაბამისი მიწოდება არ არსებობს და პროფილური სწავლების მსურველი უფრო მეტია, ვიდრე სასწავლებლებს შეუძლიათ მიიღონ. თუმცა ფიქრობენ, რომ დიფერენცირებულ სწავლებაზე ყველა სკოლა არ უნდა გადავიდეს, ასეთი შესაძლებლობა ქალაქის, ან მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა შეიქმნას. მნიშვნელოვანია ის პროფილები, რომელთაც მოსწავლეებს შევთავაზებთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იქნებიან ისეთი მოსწავლეებიც, რომელთაც საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელება სურთ,

მაგრამ პროფილური არ აინტერესებთ და მრავალფეროვანი ინტერესები აქვთ, საერთო დიაპაზონის შესწავლა უნდათ. ასეთი შესაძლებლობაც უნდა იყოს.

როგორც განათლების სამინისტრომ განაცხადა, ახალი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, საშუალო საფეხურზე, დიფერენცირებული განათლების მოდელი დამუშავდა და ეს მოდელი ახლა შიდა განხილვის პროცესშია. დაინტერესებულ უწყებებსა და პირებს, რომლებიც განათლების სფეროში მუშაობენ, ჯერ მისი ანალიზი არ გაუკეთებიათ. თუმცა, გვთავაზობენ ინფორმაციას, რომ მომავალში, საშუალო საფეხურზე გვექნება დიფერენცირებული მიდგომა და პროფილური სწავლება 5 მიმართულებით. ეს მიმართულებებია: ხელოვნება, სპორტი, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, პროფესიული სწავლება და ჰუმანიტარული საგნები. ექსპერტების მიერ განიხილება ყველა მიმართულებისთვის საერთო სავალდებულო საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების ჩამონათვალი და ოპტიმალური რაოდენობაც. ამ ეტაპზე ეროვნული სასწავლო გეგმა, პროფილური სწავლების მიმართულებით დამუშავებული არ არის. მას შემდეგ, რაც გეგმა დამტკიცდება და შესაბამისი სახელმძღვანელოები მზად იქნება, სკოლებში დანერგვა დაიწყება,- აცხადებენ ექსპერტები. კრიტიკოსთა ნაწილი კი თვლიან, რომ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და ამით არაფერი იცვლება, რაღაც ახალ-ახალი საგნების გამოგონება და შეტანა, სწავლების ახალ-ახალი მეთოდების გამოგონება და საგნების დანაწევრება სწავლის ხარისხს ვერ შეცვლის, და ვერც გააუმჯობესებს. საჯარო სკოლა ბავშვს ეროვნული გამოცდებისათვის აუცილებელი ცოდნის მინიმუმსაც ვერ აძლევს. განათლების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დიფერენცირებული სწავლების მცდელობა იყო უკვე და არ გაამართლა, მისაღები გამოცდებისას კი ყველას ერთნაირად მოეთხოვებათ, გამოცდებსაც დიფერენცირებულს გააკეთებენ? სხვა პროგრამა იქნება საბუნებისმეტყველოებისთვის და განსხვავებული ჰუმანიტარულებისთვის? თუ საზღვარგარეთის რომელიმე განათლების სისტემის მოდელის გადმოღება უნდათ, განვითარებულ ქვეყნებში ბავშვები დღის უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებენ, ჩვენთან კი კიდევ ამცირებენ? რატომ? მოსწავლეებს რამე სხვა საქმისთვის უთავისუფლებენ დროს? აბსოლუტურად უსარგებლო გაკვეთილებს ამატებენ.

განათლების სექტორის წარმომადგენლები აგრძელებენ დიფერენცირებული მიდგომენის სწავლებაში დანერგვის განსხვავებული მოსაზრებების კრიტიკას. ისინი თვლიან, რომ მისი საგანმანათლებლო ღირებულების და კიდევ იმის გამო, რომ ეს მეთოდი განსხვავებულ და ეფექტურ საშუალებას იძლევა საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის ცოდნის მიღებისთვის. აზრი მაინც ორად იყოფა და ფიქრობ, რომ პირველ რიგში პრივილიგებული საგნები უნდა მოისპოს. ერთნაირი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ყველა საგანს. გაძლიერებულად ისწავლის იმ საგნებს, რომელიც ეხერხება, აინტერესებს და სურს, იქნება ეს ჰუმანიტარული, ტექნიკური თუ ბიოლოგიური საგნები.

ამრიგად, დიფერენცირებული სწავლების მიდგომების აქტიური დაგეგმვა სასწავლო პროცესში შესაძლებელია წარმატებულად წარიმართოს საგაკვეთილო ნორმებისა და სასწავლო შინაარსის მუდმივი მონაცვლეობის ფონზე, სადაც ცვლილების აუცილებლობას განაპირობებს აღმზრდელთა განმსაზღვრელი შესაძლებლობები და ინტერესები.

§ 3. სწავლის სტილის შესახებ

სწავლების დიფერენცირებული მიდგომა აიძულებს მასწავლებელს კარგად გაიცნოს თავისი შემსწავლელები, გაითვალისწინოს თითოეულის ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულება, უნიკალური გამოცდილება, ის სუბიექტური რეალობა, რომელიც ყალიბდება ადამიანებთან, მედიასთან და, ზოგადად, სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით და შესთავაზოს მათ ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს.

სწავლობენ თუ არა ადამიანები განსხვავებულად? სწავლობს თუ არა უკეთ ბავშვი იმ შემთხვევაში, როდესაც მას ცოდნა რომელიმე კონკრეტული სტიმულის საშუალებით მიეწოდება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მეცნიერები დიდი ხანია ცდილობენ. გაგაცნობთ იმ თეორიებს, რომლებიც სწავლის სტილის შესახებ

უკანასკნელია ათწლეულების განმავლობაში მეტ-ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

სწავლის განსხვავებული სტილი გარკვეულწილად აყალიბებს სწავლისადმი ჩვენს დამოკიდებულებას და გვასწავლის ჩვენთვის საუკეთესო" გზებს სწავლისათვის წარმატებით თავის გასართმევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სტილი თავისთავად ნეიტრალურია და წარმატება-წარუმატებლობას განსაზღვრავს ის, თუ როგორ გამოიყენებს მოსწავლე საკუთარ თვისებებს. ზოგიერთი სტილის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეულ დავალებებზე მუშაობა მოსწავლისთვის უფრო მარტივი ან უფრო რთული აღმოჩნდეს; როდესაც მოსწავლე მისი სტილის ძლიერ მხარეებს იყენებს, ის უფრო ეფექტურად ეუფლება ცოდნას თუ უნარებს.

მასწავლებელს ნამდვილად შეუძლია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც სხვადასხვა სწავლის სტილის მქონე ბავშვებისთვის სწავლას გაამარტივებს და უფრო სახალისოს გახდის: მიეცით ბავშვებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური დავალებები; რიგ შემთხვევებში მიეცით საშუალება თავად აირჩიონ დავალებაზე მარტო იმუშავებენ თუ თანაკლასელებთან ერთად. ბავშვებთან ერთად რეგულარულად განახორციელეთ გონებრივი იერიში ახალ საკითხთან დაკავშირებით; ასეთი აქტივობის დროს თითოეული ბავშვი შეიძლება თანაბარი ინტერესით ჩაერთოს მასში. გონებრივი იერიშის დროს მოსწავლეები სპონტანურობასა და შემოქმედებითობას ავლენენ მოსწავლეებისთვის ახალი ინფორმაციის მიწოდებისას გამოიყენეთ სხვადასხვა მანიპულატივები, თვალსაჩინოებები; მიეცით საშუალება ბავშვებს მოახდინონ მანიპულაციები შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების/საგანმანათლებლო თამაშების საშუალებით და ა.შ. ნუ დაუშლით ბავშვებს, განსაკუთრებით უმცროს ასაკში, კითხვისას თითი გააყოლონ ტექსტს, ან ფერადი ფანქრებით გააკეთონ წიგნში მონიშვნა. ახალი ინფორმაციის მიწოდების დროს შეეცადეთ ხატოვნად გადმოსცეთ თქვენი სათქმელი, ისე რომ, ბავშვებმა მეტი ყურადღებითა და ინტერესით მოგისმინონ. ზოგიერთ მოსწავლეს უყვარს ისეთი დავალებები, სადაც ზედმიწევნით გაწერილი რა ევალება მას, სხვებს კი ურჩევნიათ მეტი თავისუფლება ჰქონდეთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გარკვეული დავალებების მიცემისას მკაფიოდ

განუსაზღვრეთ მოსწავლეს დავალების მიზანი, მაგრამ შესთავაზეთ რესურსების, დავალების ჩაბარების თარიღის და სხვა არჩევანი. **კოლბის მოდელი გვთავაზობს როგორც პრაქტიკული სწავლების ციკლს, რომელიც პედაგოგმა შეიძლება ყველა შემსწავლელის მიმართ გამოიყენოს, ისე კონკრეტული ადამიანის სწავლის სტილს.**

სურათი 2. კოლბისსწავლისოთხისტილი



ჰორიზონტალური ღერძი გვიჩვენებს, თუ როგორ ვუდგებით ამოცანას, ხოლო ვერტიკალური ღერძი გვიჩვენებს, თუ რას ვგრძნობთ და ვფიქრობთ ამის შესახებ. სწავლების პროცესში საჭიროა ყველა სტილის სტიმულების გამოყენება, თუმცა ასევე საჭიროა სიტუაციისა და კონკრეტული ადამიანის სწავლის სტილის გათვალისწინება. განვიხილოთ სწავლის თითოეული სტილი: დამკვირვებელი (გრძნობა და დაკვირვება). სწავლის ასეთი სტილის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ობიექტი, კონკრეტული სიტუაცია განიხილონ სხვადასხვა მხრიდან. ისინი არიან მგრძნობიარენი, უპირატესობას ანიჭებენ დაკვირვებას და არა მოქმედებას. აგროვებენ ინფორმაციას და იყენებენ წარმოსახვას პრობლემის გადასაჭრელად. ისინი კარგად ავლენენ თავს მაშინ, როცა საჭიროა იდეების გენერირება, აინტერესებთ ადამიანები, არიან ემოციურები, უყვართ ხელოვნება. უპრატესობას ანიჭებენ ჯგუფურ მუშაობას, არიან კარგი შემსწავლელები. დამკვირვებლები კარგად სწავლობენ, თუ: საშუალებას მისცემთ დააკვირდნენ ცალკეული მონაწილეების თუ ჯგუფის მუშაობას; განიხილონ მომხდარი და იფიქრონ მიღებულ გამოცდილებაზე; მისცემთ დროს დაკვირვებისა

და ანალიზისთვის მკაცრი ვადების მოთხოვნის გარეშე; შექმნით ისეთ სასწავლო სიტუაციებს, რომელთა დროსაც მათ ობიექტური დამკვირვებლის როლი ექნებათ; არ აიძულებთ შეასრულონ ლიდერის ფუნქცია და ექნებათ დამკვირვებლის/კომენტატორის როლი; მისცემთ მოსამზადებელ დროს; ჰკითხავთ აზრს კონკრეტულ საკითხზე; არ გადადებთ საქმეს ბოლო წუთისთვის, რის გამოც მათ ხანმოკლე ვადაში მოუწევთ დავალების შესრულება; მისცემთ დღიურის, ჟურნალის, გონებრივი იერიშის გამოყენების შესაძლებლობას. მოზარდთა და ზრდასრულთა სწავლების თავისებურებები თეორეტიკოსი (დაკვირვება და ფიქრი). სწავლის ასეთი სტილის მქონე ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია იდეები. კარგად ესმით მიღებული ინფორმაცია და შეუძლიათ მისი ლოგიკურად ორგანიზება; უფრო აინტერესებთ ლოგიკურად დასაბუთებული თეორიები, ვიდრე თეორიის პრაქტიკული გამოყენება. მათთვის მნიშვნელოვანია ახალი მასალის დეტალური ახსნა. სწავლის პროცესში ისინი უპირატესობას ანიჭებენ ლექციას, კითხვას, ანალიტიკურ მეთოდებს და ასევე სჭირდებათ დრო ფიქრისთვის. თეორეტიკოსები კარგად სწავლობენ, თუ: აღმოჩნდებიან ისეთ სასწავლო გარემოში, სადაც აქვთ საკუთარი ცოდნისა და უნარების გამოყენების საშუალება; შექმნილია მკაფიო სტრუქტურის მქონე სასწავლო სიტუაცია, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნები. თეორეტიკოსებს არ უყვართ ექსპერიმენტული მიდგომა სწავლისადმი, როგორიცაა, მაგალითად, სიმულაციური სავარჯიშოები; შესთავაზებთ საინტერესო მოსაზრებებსა თუ კონცეფციებს; ექნებათ არსებული მოსაზრებების გამოცდისა და შემოწმების საშუალება; შეუქმნით ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება თეორიებსა და სისტემურ ანალიზზე; მისცემთ პრობლემის დეტალურად განსჯის საშუალებას; მისცემთ ვითარების ამსახველ მთლიან სურათს, ზოგად ინფორმაციას; მიაწვდით თვალსაჩინოებებსა და საკითხავ მასალას; თეორეტიკოსებთან წარმატებით გამოიყენებთ სწავლების სალექციო ფორმასაც. პრაგმატიკოსი (მოქმედება და ფიქრი). ასეთი სწავლის სტილის მქონე ადამიანებს შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა. ისინი იყენებენ ცოდნას პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. მათ უყვართ ტექნიკური ამოცანები და ნაკლებად აინტერესებთ ადამიანები, შეუძლიათ თეორიისა და იდეების პრაქტიკული გამოყენება. კარგად აქვთ განვითარებული ტექნიკური

უნარები, შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება. უყვართ მოდელირება და ახალი იდეების ექსპერიმენტირება. პრაგმატიკოსები კარგად სწავლობენ, თუ: სასწავლო თემა უშუალოდ უკავშირდება მათ სამუშაოს; და ანახებთ რომელიმე მეთოდის უპირატესობას. აჩვენებთ ისეთ მაგალითს ან მოდელს, რომლის გამეორებასაც ადვილად შეძლებენ; შექმნით ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც მხოლოდ თეორიებს არ ეფუძნება; დაანახებთ სასწავლო თემის პრაქტიკულ ღირებულებას; მისცემთ პრაქტიკული მუშაობის საშუალებას და შესაბამის მითითებებს; არ მიაწოდებთ ჭარბ ზოგად ინფორმაციას. აქტივისტი (გრძნობა და მოქმედება). სწავლის ასეთი სტილის მქონე ადამიანები პრობლემის გადაჭრისას უფრო მეტად ეყრდნობიან ინტუიციას და არა ლოგიკას. უყვართ ადამიანების ანალიზი და პრობლემის გადაჭრისას უპირატესობას ანიჭებენ გამოცდილებაზე დამყარებულ პრაქტიკულ მიდგომას. მათ იზიდავთ ახალი იდეები და ახალი გამოცდილება. სწავლის ასეთი სტილის მქონე ადამიანები ახალი ინფორმაციის ანალიზისას ემყარებიან სხვა ადამიანებს და არა საკუთარ ანალიზს. უყვართ ჯგუფში მუშაობა. განსაზღვრავენ მიზანს და აქტიურად იყენებენ სხვადასხვა მეთოდს მის მისაღწევად. აქტივისტები კარგად სწავლობენ, თუ: მათ შესთავაზებთ ახალ განცდებს, პრობლემებსა და შესაძლებლობებს; მისცემთ გუნდური მუშაობის შესაძლებლობას, მაგალითად, ჯგუფური განხილვა, გუნდური დავალებები და ა.შ. თავს აარიდებთ ხანგრძლივ ლექციებსა და გრძელ განმარტებებს; შეამცირებთ კითხვით და წერით დავალებებს; არ მიაწვდით დეტალურ ინსტრუქციებს, რომელთა დაცვაც მკაცრად მოეთხოვებათ; შესთავაზებთ ხანმოკლე, აქტიურ სესიებს. უმჯობესია რამდენიმე თემა ერთად განიხილოთ, ვიდრე ერთ საკითხს ჩაუღრმავდეთ; უფლებას მისცემთ თავად გადაწყვიტონ რთული დავალება, ხელმძღვანელის გარეშე; საშუალებას მისცემთ გამოსცადონ ახალი მეთოდები და შესთავაზებთ უკუკავშირს (მათთვის საინტერესოა თანაგუნდელების კომენტარები და მსჯელობა).თუ სწავლების პროცესში გავითვალისწინებთ კონკრეტული ადამიანის სწავლების სტილს, მაშინ სწავლება იქნება უფრო ეფექტიანი. მაგალითად, თეორიული სწავლის სტილის მქონე ადამიანები არაკომფორტულად იგრძნობენ თავს, თუ მათ მოზარდთა და ზრდასრულთა სწავლების თავისებურებები არ მიაწვდიან ზუსტ მითითებებსა და ინსტრუქციას. აქტივისტებს მიანიჭებთ დისკომფორტს, თუ მოსთხოვთ დიდი

მოცულობის ინფორმაციის წაკითხვას და არ მისცემთ საშუალებას გადავიდნენ პრაქტიკაზე. განსაზღვრეთ თქვენი სწავლის სტილი თუ თქვენ ხართ აქტივისტი, დიდი ფიქრის გარეშე დაიკაპიწებთ მკლავებს და შეუდგებით საქმეს. თქვენ გიყვართ ყველაფერი ახალი. თქვენ ჯერ აკეთებთ და შემდეგ ფიქრობთ. მოგწონთ აქტიურობა და პრობლემის გაჩენისთანავე იწყებთ მის მოგვარებას, ხართ კომუნიკაბელური. თქვენიდევიზია: ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადო! თუ თქვენ ხართ დამკვირვებელი (მოაზროვნე), მაშინ, ჩვეულებრივ, არ იღებთ აქტივობებში მონაწილეობას. შეკრებებზე, ალბათ, ჯდებით ბოლო რიგში. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, ცდილობთ მოიპოვოთ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. თქვენ ჯერ აკვირდებით, როგორ ვითარდება სიტუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვამთ თქვენს მოსაზრებას, ფრთხილი ხართ.თქვენი დევიზია: უნდა მოვიფიქრო! თუ თქვენ ხართ თეორეტიკოსი, ცდილობთ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე შექმნათ მოვლენების განვითარების მოდელი. გიყვართ წესები, სისტემები, შაბლონები. გიყვართ დამოუკიდებლობა. გიყვართ მოვლენების ანალიზი და არ უარყოფთ იდეას მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ემთხვევა თქვენს მოსაზრებას. თქვენიდევიზია: შეხედე, რა კავშირშია ეს მოვლენა. თუ თქვენ ხართ პრაგმატიკოსი, მაშინ ცდილობთ შეამოწმოთ იდეები პრაქტიკაში, ხშირად ატარებთ ექსპერიმენტს. გიყვართ საქმის კეთება და არა უბრალოდ საუბარი. თუ კი რაიმე საინტერესოს გაიგებთ, გიჩნდებათ მისი განხორციელების სურვილი. თქვენი დევიზია: უნდა არსებობდეს უკეთესი საშუალება.

§ 4. დიფერენცირებული სწავლების უპირატესობები

დიფერენცირების კონცეფცია ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ სკოლებში სწავლების, გადაწყვეტილებების მიღების, ადამიანური, თუ სხვა რესურსების მართვის პრინციპებისა და პროცესების გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს,

რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, თუ სკოლებში ასევე პოზიტიური ცვლილებების მოტივაციას ვხვდებით და ვახალისებთ. დიფერენცირებული მიდგომები განათლებაში მართვის სხვადასხვა მიმართულებას შეიძლება შეეხოს, ამიტომაც მნიშვნელოვანია დანერგვის პრინციპები და სტრატეგია თითოეული მიმართულებისთვის შემუშავდეს. მასწავლებელი არის ცოდნისა და გამოცდილების არა სტატიკური სახით გადამცემი, არამედ ბავშვს შეუძლია საკუთარი მოსაზრება თითოეულ საკითხზე გამოთქვამს.

დიფერენცირებული სწავლების უპირატესობებია:

- ადვილად დაიძლევა სიძნელეები;
- კლასში არც ერთი მოსწავლე არ არის ჩამორჩენილი;
- ყველა ჩართულია სამუშაოში;
- აქტიურად ფორმირდება პიროვნული თვისებები;
- იზრდება დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, თავდაჯერება, შემოქმედებითობა, მოტივაცია, შემეცნებითი ინტერესი;
- აქტიურად მიმდინარეობს მასალის შინაარსის გადამუშავება;
- მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ამგვარი სამუშაოსთვის; ექვემდებარება მონიტორინგს.
- მასწავლებელს ეძლევა საშუალება მიზნობრივად დაეხმაროს ყველა ტიპის შემსწავლელს;
- წინასწარ დაგეგმილ და მრავალფეროვან სასწავლო გარემოში მიმდინარეობს ეფექტიანი მუშაობა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების შემსწავლელებს უძლიერდებათ თვით ეფექტიანობის განცდა; ეძლევათ საშუალება, დროის მცირე მონაკვეთში გამოავლინონ შესაძლებლობების მაქსიმუმი; დაბალი აკადემიური მოსწრების შემსწავლელებს უჩნდებათ განცდა, რომ თავადაც შეძლებენ წარმატების მიღწევას;
- ზრდის მოტივაციას; პოზიტიურად განაწყობს შემსწავლელებს შესასწავლი საკითხისადმი;
- ეხმარება მოსწავლეებს ღრმად გაიაზრონ საკითხი; შემსწავლელები უკეთესად ითვისებენ შესასწავლ მასალას; იზრდება მათი მზადყოფნა თვითგანვითარებისთვის; შემსწავლელები ეჩვევიან მრავალფეროვან გარემოში

საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას; ზრდის სწავლის შედეგებს.

ამგვარად, სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს განსხვავებული პერსპექტივიდან შევხედოთ სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რაც ტრადიციული სწავლებისას შესაძლოა ვერც კი შეგვემჩნია. ტრადიციული სწავლებისა და სწავლების დიფერენცირებული მიდგომის შედარებითი დახასიათება ტრადიციული სწავლება სწავლება დიფერენცირებული მიდგომით დიფერენცირებულ სწავლებას მასწავლებელი მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლებაში პრობლემებს აწყდება. დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს მასწავლებელი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპიდან.

გთავაზობთ ტრადიციული სწავლებისა და სწავლების დიფერენცირებული მიდგომის შედარებითი დახასიათებას ცხრილის სახით:

ტრადიციული სწავლება	სწავლება დიფერენცირებული მიდგომით
დიფერენცირებულ სწავლებას mმასწავლებელი მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლებაში პრობლემებს აწყდება.	დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს მასწავლებელი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპიდან.
შეფასება უმეტესად კონკრეტული საკითხის შეჯამებისას ხდება და იგი, ძირითადად, განმსაზღვრელია - სწავლის შეფასება.	შეფასება ინტენსიურია და მისი მიზანი მოსწავლის საჭიროებების გამოვლენაა - შეფასება სწავლისთვის.
საგნის შინაარსი შემოიფარგლება წინასწარ გაწერილი პროგრამით.	საგნის შინაარსი ეფუძნება მოსწავლეთა არსებულ ცოდნას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს.
ინსტრუქციები ძირითადად გათვლილია მთელ ჯგუფზე.	ინსტრუქციები ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავებულია და, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებების

	გათვალისწინებით არის მოდიფიცირებული.
რესურსები არ არის მრავალფეროვანი და გათვლილია ჯგუფის უმრავლესობაზე.	რესურსები შერჩეულია თითოეული შემსწავლელის ინდივიდუალური გამოცდილების, ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დიფერენცირებული სწავლებისას გასათვალისწინებელია მოზარდობის პერიოდის ასაკობრივი თავისებურებები. მოზარდობის ხანა – ეს არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. მისი ხანგრძლივობა თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო და უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობის მიღწევამდე ძალიან ბევრი ცოდნა დ აუნარ-ჩვევაა დასაუფლებელი. მოზარდობა მოიცავს პერიოდს 10-11 წლიდან 16-19 წლამდე და იყოფა უმცროსი და უფროსი მოზარდობის (ჭაბუკობა) პერიოდებად. უმცროსი მოზარდობა მოიცავს პერიოდს 10-11 წლიდან 15 წლამდე, უფროსი მოზარდობა (ჭაბუკობა) კი – 15 წლიდან 19 წლამდე. გარდამავალ ასაკში მოზარდის მთელი ორგანიზმი განიცდის მკვეთრ ცვლილებას: ანატომიურ-ფიზიოლოგიურს, სულიერს, ფსიქოლოგიურსა და ზნეობრივს. გარდამავალი ასაკის ბავშვების სწავლება და აღზრდა ბევრ სირთულესა და სიძნელესთან არის დაკავშირებული. ბავშვის მოწიფულობაში გადასვლის პროცესი მეტად რთული და მრავალფეროვანია, რადგან იგი დაკავშირებულია უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევასთან, ცხოვრებისა და ქცევის პირობების შეცვლასთან. თუ კი მოზარდმა იცის და ესმის ის ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს მის სხეულსა და ფსიქიკაში, მისთვის უფრო ადვილი იქნება მათი მიღება.

თავი II. დიფერენცირებული სწავლება- ფანჯარა შესაძლებლობების სამყაროში

§ 1. მოსწავლის საჭიროების შესაძლებლობისა და ინტერესების აღრიცხვის ფორმები

მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა წარმოადგენს მოსწავლის თვითშეფასების ინსტრუმენტს, რომლითაც მოსწავლე შეაფასებს საკუთარ პროგრესს სასწავლო მიზანთან მიმართებით. მოსწავლემ რეფლექსური კითხვების დახმარებით უნდა შეაფასოს საკუთარი მიღწევები სასწავლო მიზანთან მიმართებით. სწავლის აღრიცხვის ფორმა ეხმარება მოსწავლეს, ფოკუსირება მოახდინოს სასწავლო მიზანზე. ის მას უვითარებს დროის მართვის უნარს, უმაღლებს მოტივაციას, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე და დამოუკიდებლად მიაღწიოს მიზანს. ხოლო თვითშეფასების ინსტრუმენტის პერიოდულად გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დააკვირდეს მოსწავლეთა პროგრესს და მიიღოს გადაწყვეტილება, როგორ განაგრძოს სასწავლო პროცესი.

როდის გამოვიყენოთ? სწავლის აღრიცხვის ფორმა შეიძლება შეიქმნას ერთ ან რამდენიმე გაკვეთილზე მისაღწევ მიზანთან მიმართებით.

როგორ გამოვიყენოთ? სწავლის აღრიცხვის ფორმის ეფექტურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ეტაპების გავლა:

1. მოსწავლი სწავლის აღრიცხვის ფორმის შევსების პროცესის გაცნობა მოსწავლეებისთვის. მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა რა თქმა უნდა სიახლე იქნება მოსწავლეებისთვის. ამიტომ, მასწავლეებმა ჯერ მკაფიოდ განუმარტოს მათ, თუ რამდენად მნისვნელოვანია, რომ მოსწავლემ თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლასა და პროგრესზე, შემდეგ კი გააცნოს მათ კონკრეტულად ამ ფორმის შინაარსი.

2. სასწავლო მიზნის განსაზღვრა. მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სასწავლო მიზანი, რომელთა შესწავლაც დაკავშირებულია საბოლოო სასწავლო მიზნის მიღწევასთან და დაადგინოს მათი შესწავლისთვის საჭირო დრო.

3.მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმის გადახედვა. აუცილებელია, რომ მასწავლებელი გაკვეთილის მიმდინარეობისას ყურადღებით მოეკიდოს სწავლის აღრიცხვის ფურცლებს, დააკვირდეს მოსწავლეებს, როგორი პროგრესი აქვთ მათ მიზანთან მიმართებით და აწარმოოს ჩანაწერები.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. რაც კი იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელს

შეუძლია მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით განსაზღვროს პროექტის შინაარსი, დასვას კითხვები ან შეარჩიოს სასწავლო რესურსები. როდესაც სასწავლო მასალა მეტნაკლებად ახლოსაა მოსწავლეთა ინტერესებთან, სწავლის პროცესი უფრო სახალისო ხდება, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის მოტივაციას. მასწავლებელმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მოსწავლეთა როგორც ზოგადი, ასევე გარკვეულ საგანთან, თემასთან ან შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებული ინტერესების შესახებ.

მოსწავლის ინტერესების აღრიცხვის ფორმა

სახელი,გვარი ----------

კლასი ----------

საინტერესო თემა	ამოირჩიე ერთ-ერთი:
რომელი შენი საყვარელი საგანი? რით ხარ დაკავებული სკოლის შემდეგ?	1. 2. 3. 4. 5.სხვა - - - - - - - - - - მონიშნე ყველა პასუხი,რომელიც შენ გეხება: 1. 2. 3. 4. 5.სხვა - - - - - - - - - - - -
რომელი ჟანრის მუსიკა გიყვარს?	
სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?	

რომ შეგეძლოს, მსოფლიო დონის რომელ ერთ-ერთ პრობლემას გადაჭრით?	
წარმოიდგინე, რომ შეგიძლია, ნებისმიერი რამის გაკეთება, რა სფეროში ისურვებდი კარიერის გაკეთებას?	
აღწერე შენ მიერ შესრულებული დავალება, პროექტი ან ტექსტი, რომლითაც ამაყობ, რა მოგეწონა ამ დავალების შესრულებაში/	

ეს მაგალითი ასახავს სწავლა-სწავლების ერთიან პროცესს, დაწყებული მოსწავლეთა ინტერესების შეფასებიდან, დასრულებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში შეფასების შედეგების გამოყენებით. როდის გამოვიყენოთ? მოსწავლეთა ინტერესების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერ დროს - სასწავლო წლის დასაწყისში, კონკრეტულ გაკვეთილზე, რაიმე თემის სესწავლის დაწყებამდე ან რაიმე პროექტის დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, შესაძლებელია, წლის განმავლობასი რამდენჯერმე დადგეს ამ მოკვლევის ჩატარების საჭიროება. როგორ გამოვიყენოთ? მასწავლებელს შეუძლია შეადგინოს სპეციალური ფორმა, რომელსაც მოსწავლეები შეავსებენ, ან შედგინოს კითხვარი ან ჩაატაროს გამოკითხვა. შესაძლებელია მასწავლებლისთვის არ ჰქონდეს განსაკუთრებული მნისვნელობა თითოეული მოსწავლის ინტერესების შესახებ ინფორმაციის მიღებას. მას შეიძლება აინტერესებდეს, თუ რა ინტერესები ჭარბობს კონკრეტულ კლასში. ასევე ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია განსაზღვროს ადგილმდებარეობა გასვლითი გაკვეთილის ჩასატარებლად. მოსწავლეებს კი შეუძლიათ არ მიუთითონ საკუთარი სახელები მოსწავლის ინტერესების ფორმაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს სურს უფრო მეტი იმუშაოს ინდივიდუალურად ცალკეულ მოსწავლეებთან, დავალების მიცემისას ან პროექტში ჩასართველად გაითვალისწინოს ინდივიდუალური ინტერესები, რომ მას ჰქონდეს ინფორმაცის თითოეული

მოსწავლის შესახებ. ამ დროს მოსწავლეებს უნდა ვთხოვოთ, მიუთითონ საკუთარი სახელი და გვარი ინტერესების ფორმაში.

§ 2. მოქნილი დაჯგუფება, დაკვირვება, უკუკავშირი

არსებობს რამდენიმე პირობა, რომელთა დაცვაც აუცილებელია, როდესაც განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლებისთვის საჭირო სასწავლო გარემოს ვქმნით. მოქნილი და ჯგუფება მოქნილი დაჯგუფება ნიშნავს მასწავლებლის მიერ კვირის მანძილზე გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას ისე, რომ ერთმანეთს ენაცვლებოდეს დამოუკიდებელი სამუშაო, ჯგუფური სამუშაო და წყვილებში მუშაობა. მოქნილი დაჯგუფება ეწინააღმდეგება იმ პრაქტიკას, როდესაც მასწავლებელი აყალიბებს დაბალ, საშუალო და მაღალ დონეზე მყოფ მოსწავლეთა მუდმივ ჯგუფებს. მოქნილი და ჯგუფების პირობებში ჯგუფი ხან მოსწავლეთა მზაობის, ხან კი მათი ინტერესების მიხედვით იქმნება; ზოგჯერ კი შესაძლებელია მასწავლებელმამ ზაობის სხვადასხვა დონეზე მყოფი მოსწავლეები ერთსადაიმავე ჯგუფში გაანაწილოს, რათა მათ ერთად მუშაობის საშუალება მიეცეთ. არარსებობს გაკვეთილზე მოქნილი დაჯგუფების უნივერსალური წესი. ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც ჩამოთვლილია დაჯგუფებათა ტიპები.

დაჯგუფების ტიპი	აღწერა
დამოუკიდებელი სამუშაო	მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებლად, მშვიდ გარემოში
მუშაობა წყვილებში	მოსწავლე მუშაობს მეწყვილესთან ერთად დისკუსიის გამართვის, გონებრივი იერიშის, დავალების შესრულების ან პროექტის განხორციელების მიზნით.
ჯგუფური სამუშაო - ზოგადი	მოსწავლეები მუშაობენ 3-5 წევრისგან შემდგარ ჯგუფებში დისკუსიის გამართვის, გონებრივი იერიშის, დავალების შესრულების ან პროექტის განხორციელების

	მიზნით.
ჯგუფური სამუშაო ინტერესის მიხედვით	მსგავსი ინტერესების მქონე მოსწავლეები ჯგუფდებიან დისკუსიის გამართვის ან პროექტის განხორციელების მიზნით.
ჯგუფური სამუშაოს მზაობის დონის მიხედვით (შერეული უნარებით)	მზაობის განსხვავებული დონის მქონე მოსწავლეები ჯგუფდებიან იმისთვის, რომ ერთმანეთისგან ისწავლიან.
ჯგუფური სამუშაო მზაობის დონის მიხედვით (მსგავსი უნარებით)	მზაობის მსგავსი დონის მქონე მოსწავლეები ჯგუფდებიან იმისთვის, რომ იმუსაონ შესაბამის ამოცანებსა და პროექტებზე

სწავლების დროს მოსწავლეებზე **დაკვირვება** მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. ბევრი მასწავლებელი იყენებ სამ პრაქტიკას, რადგან ეს მოსწავლეების კარგად გაცნობის ძალიან ეფექტური საშუალებაა. დამოუკიდებელი ან ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი მუდმივად უნდა მოძრაობდეს საკლასო ოთახში, აკვირდებოდეს მოსწავლეებს დააკეთებდეს აუცილებელ მოკლე ჩანაწერებს. სამუშაო პროცესზე დაკვირვება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, მეტი გაიგოს მოსწავლეების შესაძლებლობების, ინსტერესების, პიროვნული თავისებურებებისა თუ სოციალური უნარების შესახებ; აგრეთვე, დაუყოვნებლივ გასცეს კონსტრუქციული უკუკავშირი და წაახალისოს მათი მუშაობა. ნათელია, რომ რუბრიკებთან, ჩექლისტებთან თუ სხვა ინსტრუმენტებთან ერთად მოსწავლეთა პროგრესის შეფასების კარგი საშუალებაა მათზე დაკვირვება სასწავლო მიზნებთან მიმართებით.

ზეპირი დაწერილობითი სახით წარმოდგენილი **უკუკავშირი** განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეს უკუკავშირს მასწავლებელი აწვდის, თუმცა, მისი მიღება თანაკლასელებისგანაც შესაძლებელია. უკუკავშირი შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური. ფორმალური უკუკავშირი მოსწავლეს შეიძლება მივაწოდოთ

რეფერატის, კვლევის ანგარიშის თუ განხორციელებული პროექტის რუბრიკით ან ჩექლისტით შეფასების საფუძველზე. ხოლო არაფორმალური უკუკავშირი გულისხმობს მოსწავლის მუშაობაზე დაკვირვების საფუძველზე გაკეთებულ დაუყოვნებელ კომენტარებს. მოსწავლის მოტივაციასა და წინსვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური უკუკავშირი, რომელიც ყველა საჭირო პირობას ითვალისწინებს. უკუკავშირი ეფექტურია, თუ ის:

- აღწერს, რა გამოსდის მოსწავლეს კარგად და ამით ახდენს მოსწავლის მიღწევების პოზიტიურ განმტკიცებას;
- კონსტრუქციულად მიუთითებს, რისი გაუმჯობესება სჭირდება მოსწავლეს და ამით წაახალისებს მას, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე;
- განუმარტავს, როგორ უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ ის, რაც ამას საჭიროებს და ამით უადვილებს სასწავლო მიზნების მიღწევას.

ეფექტური უკუკავშირის მიცემა სასარგებლოა როგორც კონკრეტულად იმ მოსწავლისთვის, რომელსაც ეს უკავშირდება, ისე მთელი კლასისთვის. მაგალითად, თუ მასწავლებელი მოსწავლეს ეტყვის: კარგი ნამუშევარია! ის ვერ მიხვდება, რატომ, რა გააკეთა კარგად. მაგრამ თუ ეტყვის: კარგი ნამუშევარია, რადგან წერილობით შესრულებულ დავალებაში, რომელიც არგუმენტირებულ მსჯელობას მოითხოვდა, სხვადასხვა პოზიცია გაქვს განხილული, მოსწავლეც და მისი მეგობრებიც მიხვდებიან, რომ განსხვავებული პოზიციების გაანალიზება არგუმენტირებული წერილობითი დავალების შესრულებისას კარგი სტრატეგიაა. იგივე შეიძლება ითქვას კონსტრუქციულად მიწოდებულ რეკომენდაციებზე. როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დეტალურად აღწეროს, რა აქვს გასაუმჯობესებელი მოსწავლეს, რასაც თან უნდა დაურთოს კონკრეტული მითითებები და რჩევები. მაგალითად, თუ მოსწავლე წერს ესეს, ასეთი კომენტარის ნაცვლად –შენი ნაწერი გაურკვეველია, – მასწავლებელს შეუძლია უთხრას მოსწავლეს: ესეს დასაწყისი კარგია, რადგან ნათლად არის გამოკვეთილი საკამათო თემა. მეორე აბზაცში თხრობა ცოტა ბუნდოვანია; შეეცადე აღწერო, კონკრეტულად როგორ შეიძლება გრძობდნენ თავს ადამიანები ამ გეოგრაფიულ რეგიონში. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული რეკომენდაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ

რამდენად ეფექტური იქნება მასწავლებლის მიერ განხორციელებული განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება.

§ 3. განმავითარებელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. მისი მიზანია დაადგონოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. ეს მასწავლებელს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. შეფასებისას განხორციელებამდე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ზუსტად განსაზღვროს:

1. რა უნდა შეფასდეს? კარგად ჩამოყალიბებული სასწავლო მიზანი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს ზუსტად ის, რის სწავლებასაც გეგმავს. ეს ნიშნავს შეფასების ვალიდურობას სასწავლო მიზანთან მიმართებით.

2. რა ჩაითვლება მიზნის მიღწევის მაჩვენებლად? მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებს მოსწავლეებს და დაადგენს, თუ რადონეზე მიაღწია მიზანს თითოეულმა მათგანმა. ამაში მას შეფასების რუბრიკის შექმნა დაეხმარება.

3. როგორ მოხდება შეფასება? მოსწავლეთა შესაფასებლად შეიძლება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მის ხელთ არსებული ინსტრუმენტის შინაარსი, მისი დანიშნულება, ასევე ისიც, თუ რა დროს მოითხოვს მისი მომზადება და მიღებული შედეგების ანალიზი.

4. როგორ გამოვიყენებთ შეფასების შედეგებს? შეფასების შედეგების გასაანალიზებლად და სწავლების შესაბამისად დასაგეგმად საჭიროა მონაცემების ორგანიზება.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება, საჭიროა, რომ მას ჰქონდეს სათანადო ცოდნა და შესაბამისი ინსტრუმენტები. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად

კარგად გაიგეს მოსწავლეებმა შესასწავლი მასალა, რა სირთულეებს აწყდებიან ისინი სწავლის პროცესში, რა გამოსდით კარგად, რა არის მათი ინტერესების სფეროდა, ზოგადად, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესი. ყოველივე ეს მასწავლებელს სწავლების სწორად დაგეგმვაში ეხმარება.

უკვე გამოცდილ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს შორისაა: ერთწუთიანი ესე, შემაჯამებელი ბარათები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, შუქნიშანი" დაა. შ. გთავაზობთ რამდენიმე საკმაოდ ცნობილ ინსტრუმენტს, რომლებსაც დღეს უამრავი მასწავლებელი იყენებს.

შემაჯამებელი ბარათები

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პატარა ფურცლებს – შემაჯამებელ ბარათებს, სთხოვს, ანონიმურად უპასუხონ ერთ ან ორ შეკითხვას და დატოვონ მაგიდაზე. ბარათებს რომელიმე მოსწავლე აგროვებს.

კითხვები შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემულის მსგავსი, ან სულაც თქვენ მიერ შერჩეული.

- დაწერეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დღეს პირველად გაიგეთ. რატომ არის ეს საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი?
- რა ვისწავლე დღეს?
- როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

შემაჯამებელი ბარათები გამოგადგებათ, გაარკვიოთ, თუ რა უჭირთ მოსწავლეებს, როგორ წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზნებს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა აღნიშნეს ბარათებში. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში შეგაქვთ შემაჯამებელი ბარათები, პასუხები შესაძლოა განსხვავდებოდეს. ზოგჯერ მოსწავლეები შეიძლება ზერელედ მოეკიდონ ბარათების შევსებას, თუმცა თუ მათ დაანახებთ, რა შედეგი მოჰყვება პასუხების გაცემას, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება.

კითხვების დასმა

კითხვების დასმა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია, თუმცა საგულისხმოა ის, რომ ნებისმიერი კითხვა ვერ ემსახურება

განმავითარებელ შეფასებას. თუ კითხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, მასწავლებელი ვერ იგებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა. მაგალითად, კითხვა –რომელ წელს დაიწერა ოთარაანთ ქვრივი?" არ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას. თუმცა შემდეგი კითხვა – რომელი თვისებაა მისაბაძი ოთარაანთ ქვრივის პიროვნებაში? შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. ასეთი კითხვა ნამდვილად დაგვანახებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

აუხსენი შენზე პატარას/აუხსენი ბებიას. მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს მეგობარს (წარმოსახვითს, ან წარმოიდგინონ, რომ ეს უმცროსი მეგობარი გვერდით მჯდომი მოსწავლეა) ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითი მეგობარი, მათ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობის გამო, შესაძლოა ბევრად უფრო ნაკლებ ცოდნას ფლობდეს. ამიტომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ შეძლონ მოცემული ცნების ახსნა ბევრად უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/გაიაზრეს საკითხი. თუ გადაწყვეტთ, რომ ამით მოსწავლებთა ბებიებს შეურაცხყოფას არ მიაყენებთ, შეგიძლიათ ეს აქტივობა ასე გადააკეთოთ: აუხსენით ბებიას.

თანატოლთა შეფასება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანატოლთა შეფასება შესანიშნავი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია და მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ერთმანეთის საშინაო დავალებებს და არასწორ პასუხებს დაურთონ კომენტარები (და არა ქულები. თუ მაინც გადაწყვეტთ ქულების გამოყენებას, მათ აუცილებლად უნდა ახლდეს კომენტარები). კომენტარი უნდა აღწერდეს არა მარტო იმას, თუ რა არის არასწორი, არამედ ნაშრომის გაუმჯობესების გზებსაც. ეს სტრატეგია მასწავლებელს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა.

ტექნოლოგიები და განმავითარებელი შეფასება. ტექნოლოგიებისგან ვითარებასთან ერთად უფრო მარტივი ხდება განმავითარებელი შეფასების გამოყენება. არსებობს სხვადასხვა აპლიკაცია, რომლებიც განმავითარებელი შეფასებისთვის შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. ასევე შეგიძლიათ სცადოთ

შემდეგი აქტივობა, რომელიც მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიებისგ ამოყენებას წაახალისებს და თან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტადაც გამოდგება: დაავალეთ მოსწავლეებს, გააკეთონ რეკლამა ახლად შესწავლილ ცნებასთან დაკავშირებით. მათ უნდა მოიფიქრონ ტექსტი და შესაბამისი ვიზუალიზაცია ახალ მასალაში გამოყენებული ცნებების გასაგებად. ეს აქტივობა დაგეხმარებათ, მეტი გაიგოთ იმის თაობაზე, თუ რა და როგორ გაიგეს მოსწავლეებმა.

მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს დაკვირვების რამდენიმე ობიექტი, ან დააკვირდეს მთელ კლასს, მაგრამ აირჩიოს კონკრეტული თემა (მაგ., კომუნიკაცია). მასწავლებელს შეუძლია მთელი კლასის წინაშე გააკეთოს კომენტარები, ან ინდივიდუალურად გაესაუბროს მოსწავლეებს, შეაჯამოს დაკვირვების შედეგები და გამოიყენოს სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რას ვერ იგებს ის) იპოვიან გზებს, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ვერც ერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუკი საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად გაგება/გააზრება თუ უნარის ათვისება.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პილოტირებაში მონაწილე ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებლის კომენტარი, რომელიც მან გააკეთა ,,შესასვლელი ბილეთების შედეგების გაანალიზების შემდეგ: განსაკუთრებით გამაოცა იმ მოსწავლეების პასუხებმა, რომელთაგანაც საკითხის ზედმიწევნით კარგად ცოდნას მოველოდი. აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი წინარე ცოდნა ახალი თემის განსახილველად. მომიწია, ცვლილებები შემეტანა გაკვეთილის გეგმაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მოსწავლის აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებელმა უნდაუზრუნველყოს, რომ მოსწავლეს ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა მიზნისკენ მიდის, ასევე რა ისწავლა და როგორ, რისი გაკეთებაა საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. ამაში მასმასწავლებლის უკუკავშირთან

ერთად მოსწავლისთვით შეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება დაეხმარება. საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება მოსწავლეს განუვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩამოუყალიბებს მეტაკოგნიტურ და თვითრეგულირებადი სწავლისათვის საჭირო უნარებს.

გთავაზობთ შესასვლელი და გასასვლელი ბარათების ნიმუშებს:

სახელი და გვარი:	გაკვეთილის მიზანი:
რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით?	რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილზე?
ერთი კითხვა, რომელსაც მინდა, რომ პასუხი გაეცეს:	ძირითადი ტერმინები:

შუქნიშანის ინსტრუქციის თანახმად, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წინასწარ დარიგებული ფერადი ბარათებიდან ამოარჩიონ მწვანე და ასწიონ ზემოთ, თუ მათთვის საკითხის რულიად გასაგებია, ყვითელი – თუ კითხვები დარჩა თან ბოლომდე არ არიან დარწმუნებულნი რაიმეში, ხოლო წითელი – თუ გაუჭირდათ საკითხის გაგება და სჭირდებათ დახმარება. ინსტრუმენტის მთავარი დანიშნულებაა, რომ მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეებისგან დაუყოვნებელი უკუკავშირის მიღება, რათა მან ეფექტიანად გააგრძელოს გაკვეთილის წარმართვა.

§4. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო პროცესი ხელმისაწვდომი მხოლოდ დიფერენცირებული სწავლების გამოყენებით ხდება შესაძლებელი.

დიფერენცირებული მიდგომით უნდა იხელმძღვანელოს პედაგოგმა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას, დავალებებისა და აქტივობების შერჩევისას.

მოსწავლისთვის სასწავლო გეგმის შედგენისას და მისთვის დიფერენცირებული სასწავლო გარემოს დაგეგმვისას, მასწავლებელმა და პროფესიონალთა გუნდმა რასაკვირველია, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, გამოცდილება, მიღწევის დონე, ძლიერი და სუსტი მხარეები უნდა გაითვალისწინოს.

მოსწავლისთვის სასწავლო პროცესისთვის და გარემოს დაგეგმვისას, პედაგოგმა შესაძლებელია იფიქროს დიფერენცირების შემდეგ შესაძლებლობებზე:

- შინაარსი - ერთი საგნის ფარგლებში მოსავლეების განსხვავებულ შინაარსებს ეუფლებიან;
- დონე - მოსწავლეები ამუშავებენ ერთ თემას, თუმცა განსხვავებულია ინფორმაციის გადამუშავების და ათვისების, ასევე აქტიურობის დონე.
- მისაწვდომობა - ინფორმაციის მიღების და გადამუშავების განსხვავებული არხების გათვალისწინებით, დასაშვებია მოსწავლეს მასალა და ინფორმაცის განსხვავებული საშუალებებით მიეწოდოს:ვიზუალურად, აუდიურად, სიმბოლურად და ა.შ.
- სტრუქტურა - მასალის მიწოდების სტრუქტურა შესაძლებელია იცვლებოდეს მოსწავლეთა ცოდნის ათვისების თავისებურების გათვალისწინებით.
- თანმიმდევრობა - დასაშვებია მოსწავლეებს სასწავლო მასალა განსხვავებული თანმიდევრობით მივაწოდოთ.
- ტემპი - შესაძლებელია მოსწავლისთვის განვსაზღვროთ მასალის ათვისების განსხვავებული ტემპი.
- პერსონალის დრო - შესაძლებელია განისაზღვროს მოსწავლისთვის პედაგოგთან და/ან სხვა პროფესიონალთან დამატებით მუშაობის დრო და ეს დრო სხვადასხვა მოსწავლეებისთვის განსხვავებული იყოს.

- სწავლების სტილი - მოსწავლის თავისებურების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სწავლების მისთვის ყველაზე შესაბამისი სტილი, ეს იქნება დიდაქტიკური, გამოცდილებით მიღებული, პრაქტიკული აქტივობებით განმტკიცებული თუ ა.შ. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა ცოდნა მიიღოს განსხვავებული საშუალებებით და გზებით - პასიური მოსმენით, აქტიურო მონაწილეობით, კვლევითა და ექსპერიმენტებით და ა.შ.
- დაჯგუფება - მნიშვნელოვანია, მოსწავლისთვის მისი შესაძლებლობების და სასწავლო საკითხის გათვალისწინებით, სწორად იყოს განსაზღვრული სწავლა/სწავლება ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს თუ ჯგუფურად.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ არ შეუძლიათ აკადემიური საგნების უმეტესობის იმ დონეზე ათვისება, რა დონეც მათ თანატოლებს მოეთხოვებათ. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლის აკადემიური წინსვლისა და გაკვეთილში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. იგი სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის სასწავლო მიზნებს განსაზღვრავს, მაგრამ არა ამ მიზნების მისაღწევად საჭირო სწავლების სტრატეგიებს.

მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებთან მუშაობა, რომ:

- უფრო გასაგები გახადოს მითითებები, ინსტრუქციები, შესასრულებელი დავალებები და შეძლოს გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურადღების ხანგრძლივი შენარჩუნება;
- მოახდინოს კონკრეტული ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო მასალის მოდიფიკაცია _ ადაპტაცია;
- შესძლოს შეფასების სხვადასხვა ტიპის სტრატეგიების გამოყენება, რომელთა მიზანიც იქნება არა უბრალოდ მოსწავლის შრომის შედეგების შეფასება, არამედ ბავშვის სწავლის მოტივაციის გაზრდა და ამა თუ იმ უნარის განვითარების ხელშეწყობა.

§ 4. დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები.

მოსწავლეების ინსტერესების გაღვივებისა და სწავლის მოტივაციის გაზრდის, მათი ჩართულობისა და ყურადღების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით გაკვეთილზე, გთავაზობთ რამდენიმე ინსტრუმენტს.

სასწავლო მენიუში მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმა, დავალების ტიპი ან ამ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო. სასწავლო მენიუში სასწავლო ამოცანების დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლის მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. სასწავლო მენიუ ხშირად მრავალგანზომილებიანი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, კარგად ჩამოყალიბებული სასწავლო მენიუ მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დიფერენცირება ერთდროულად მოსწავლეთა მზაობისა და ინტერესების მიხედვით მოახდინოს.

როდის გამოვიყენოთ? სასწავლო მენიუ ერთგვარ მეგზურობას უწევს მოსწავლეს. ის გამოიყენება მოსწავლეთა სწავლის ფასილიტაციისთვის. სასწავლო მენიუ აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, საკუთარი სწავლის ტემპის ინტერესების ან მზაობის დონის მიხედვით შეარჩიონ სასწავლო მენიუში მოცემული აქტივობები. მოსწავლეს შეუძლია შერჩეული აქტივობის შესრულება დაიწყოს გაკვეთილზე და დაასრულოს სახლში, როგორც საშინაო დავალება. გარდა იმისა, რომ სასწავლო მენიუ არის დიფერენცირების ინსტრუმენტი, მისი გამოყენებით შეგვიძლია სიღრმისეულად შევაფასოთ საკითხის შესწავლის პროცესში მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონეც. ეს კი მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, როგორ დაგეგმოს სწავლება მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ შესასწავლ თემასთან დაკავშირებული სასწავლო მიზნების მიღწევა. იმისათვის, რომ სწავლის პროცესი მოსწავლისთვის საინტერესო და ეფექტიანი იყოს, საჭიროა, მასწავლებელმა სასწავლო მენიუს შინაარსი გააზრებულად მოამზადოს, ხოლო მოსწავლეებს მუშაობისთვის საჭირო დეტალური ინსტრუქციები და მიმართულებები მისცეს. ეს აქტივობა მოსწავლეებისგან მნიშვნელოვან ძალისხმევას და დამოუკიდებლობას მოითხოვს. ამიტომ მასწავლებლის ყურადღება და მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორია მისი წარმატებით გამოყენებისათვის.

სასწავლომენიუსშედგენამასწავლებლისაგანმნიშვნელოვანძალისხმევასდადროსმოი თხოვს. თუმცა, ვინაიდან დიფერენცირებული სწავლებას წორედ მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებას გულისხმობს, სასურველია, მასწავლებელმა ამ ინსტრუმენტის გამოყენება ხშირად თუ არა, გარკვეული პერიოდულობით მაინც მოახერხოს. გამოცდილების შეძენასთან ერთად მოსწავლეებს სულ უფროდაუფრო ნაკლები დრო დასჭირდებათ მასზე სამუშაოდ.

სასწავლო გაჩერებები – ეს არის სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები.



სასწავლო გაჩერებების მოწყობა შეიძლება მერხებით/მაგიდებით, საკლასო ოთახში არსებული სივრცისა და გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს თითოეულ გაჩერებაზე ხვდებათ შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია. მოსწავლეები ერთ კონკრეტულ გაჩერებასთან ატარებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ სამუშაოს, რის შემდეგაც გადაადგილდებიან შემდეგ გაჩერებაზე. ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ მოსწავლეთა ყველაჯგუფი არ შეასრულებს თითოეულ გაჩერებაზე მოცემულ დავალებას.

მაგალითისათვის განვიხილავთ მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირების შესწავლას ქართული ენის გაკვეთილზე. მიზნის თანახმად, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მასწავლებლის დახმარების გარეშე კავშირის რაობისა და ჯგუფების გარკვევა, წინადადებიდან კავშირების გამოყოფა და დაჯგუფება.

პირველ გაჩერება -მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ორი განსხვავებული ტექსტი აღნიშნულ სასწავლო მიზნებთან დაკავშირებით, საიდანაც მათ შეუძლიათ ამოირჩიონ ერთ-ერთი, ხოლო სურვილის შემთხვევაში – ორივე. ტექსტი კი ამოღებულია ქართული ლიტერატურის წიგნიდან, დატვირთულია კავშირებით. ტექსტების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ იმავე გაჩერებაზე მცირე ჯგუფში ან წყვილებში შეაჯამონ, რა გაიგეს წაკითხულიდან. **მეორე გაჩერებაზე** მოსწავლეები უყურებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ პრეზენტაციას მაერთებელ და მაქვემდებარებელ კავშირებზე, სადაც მოსწავლეები შეადარებენ თუ რამდენად სწორად ამოიცნეს კავშირები თავიანთ ტექსტში. **მესამე გაჩერებაზე** კი მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეადგინონ წინადადებები მითითებული კავშირების გამოყენებით და გაარკვიონ კავშირების მნიშვნელობის სხვადასხვაობა კონტექსტიდან გამომდინარე.

სასწავლო გაჩერებებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ორი სახის დავალება აქვთ შესასრულებელი: ერთი ჯგუფურად, მეორე – ინდივიდუალურად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს პოსტერი უკვე ახსნილი თემის ირგვლივ, ხოლო თითოეულ მოსწავლეს გასასვლელი ბილეთების სახით ევალება დაეწეროს 3-5 წინადადება, რომლებითაც აღწერენ, რა ისწავლეს და რამდენად კარგად გაიგეს.

სასწავლო გაჩერებები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ნათელი მაგალითია. ის დიფერენცირების კარგი სტრატეგიაა და, ამასთანავე, საკმაოდ სახალისოცაა. როცა მოსწავლეები შედიან სასწავლო გაჩერებებისთვის მოწყობილ საკლასო ოთახში, უჩვეული სასწავლო გარემო მაშინვე აღძრავს მათ ცნობისმოყვარეობას და ზრდის სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს.

როდის გამოვიყენოთ? სასწავლო გაჩერებების გამოყენება განსაკუთრებით გამოსადეგია ახალი საკითხის სწავლებისას, როდესაც მოსწავლეებს, მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მასალის ასათვისებლად გარკვეული დრო ან პრაქტიკული გავარჯიშებას ჭირდებათ. სასწავლო გაჩერებების გამოყენება მოსახერხებელია ერთი გაკვეთილის ფარგლებში სასწავლო მასალის ეფექტურად ასათვისებლად, ასევე პროექტზე თუ კვლევაზე დაფუძნებულის წავლებისას. შესაბამისად, სასწავლო გაჩერებებზე მუშაობა შეიძლება დასრულდეს ერთ გაკვეთილზე ან გაგრძელდეს რამდენიმე გაკვეთილის

განმავლობაში. ასევე, მომზადებული უნდა იყოს ყველა საჭირო რესურსი თუ სამუშაო ფურცელი. ამიტომ, არ არის საჭირო სასწავლო გაჩერებების გამოყენება ყოველ გაკვეთილზე. მისი დახმარებით გაკვეთილის დაგეგმვა რეკომენდებულია რამდენიმე კვირაში ერთხელ, სასწავლო მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით.

როგორ გამოვიყენოთ? რადგან სასწავლო გაჩერებებზე მოსწავლეთა მცირე ჯგუფები მუშაობენ, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი დარწმუნებული იყოს, რომ თითოეული მოსწავლე ჩართულია და პასუხისმგებლობით ეკიდება შესასრულებელ სამუშაოს. ამისათვის აუცილებელია, მოსწავლეებმა თითოეულ გაჩერებაზე შესრულებული სამუშაოს შედეგი ინდივიდუალურ სამუშაო ფურცელზე გადაიტანონ, როდესაც მოსწავლეებმა იციან, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ ჯგუფურად შესრულებული დავალებით, არამედ ინდივიდუალური სამუშაო ფურცლებითაც ინტერესდება, ისინი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იჩენენ და ნამდვილად ერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში. გარდა ამისა, მასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა ნებისმიერ დროს ჩაიხედონ სამუშაო ფურცლებში და გამოიყენონ იქ მოცემული ინფორმაცია.

სასწავლო გაჩერებების ეფექტურად დაგეგმვასა და განხორციელებაში მასწავლებელს დაეხმარება შემდეგი რეკომენდაციები:

1. გამოყავით დრო მასალის დიფერენცირებისთვის, მოსწავლის სწავლის სტილის, ინტერესებისა და მზაობის დონის შესაბამისად.

2. განსაზღვრეთ სასწავლო მიზანი. განსაზღვრეთ სასწავლო მიზანი, რომელსაც მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ და ეცადეთ მოარგოთ მას შესაბამისი აქტივობები.

3. სასწავლო გაჩერებების აქტივობის დაწყებამდე სათანადოდ შეაფასეთ მოსწავლეები. გაითვალისწინეთ, რომ დიფერენცირებისთვის არ არის აუცილებელი, სასწავლო გაჩერებები მორგებული იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორზე, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს ფოკუსირებული ერთ-ერთ მათგანზე მაინც.

4. იმოძრავეთ საკლასო ოთახში და დააკვირდით ჯგუფების მუშაობას. შეგიძლიათ გამოიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით წინასწარ მომზადებული დაკვირვების ფურცელი, რომლის დახმარებითაც შეაფასებთ მოსწავლის პროგრესს სასწავლო მიზანთან მიმართებით. შეარჩიე საკითხავი მასალა საკითხავი მასალის შერჩევა სწავლების დიფერენცირების სტრატეგიაა, რომლის

განხორციელებაც შესაძლებელია მოსწავლის მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. მოსწავლეებს ჯგუფური ან ინდივიდუალური სამუშაოსთვის შეუძლიათ აირჩიონ მათთვის უფრო მიმზიდველი საკითხავი მასალა.

როდის გამოვიყენოთ? თემის შესწავლისას, სასურველია, მასწავლებელმა ხშირად შესთავაზოს მოსწავლეებსმრავალფეროვანი საკითხავი მასალა, საიდანაც მოსწავლე თავად შეარჩევს, რისი წაკითხვა სურს. საკითხავი მასალა მრავალფეროვანია, თუ სასწავლო თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია სხვადასხვა სირთულით არის წარმოდგენილი, ასევე განსხვავებულია ვიზუალური მასალის რაოდენობაც.

აირჩიე პროექტი იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. მოსწავლეებს სურვილის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ, რა ტიპის და შინაარსის პროექტს შეასრულებენ. მათ მიერ გაკეთებული არჩევანი ცხადყოფს, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი სასწავლო მიზანთან.

პროექტი უნდა ასახავდეს ექსპერიმენტის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებს. წარმოადგინეთ პროექტის თქვენეულიშეფასება მოკლე დასკვნის სახით. არჩევანი 3 (კინესთეტიკური): სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მოამზადეთ და ჩაატარეთ ექსპერიმენტი საკლასო ოთახში თქვენთვის საინტერესო ელექტრული მასალები. არჩევანი 4 (წერა-კითხვით): სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მოამზადეთ წერილობითი ანგარიში ჩატარებულ პროექტთან დაკავშირებით. პროექტი უნდა ასახავდეს ექსპერიმენტის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებს. წარმოადგინეთ ექსპერიმენტის თქვენეული შეფასება მოკლე დასკვნის სახით. განმარტეთ, რა გავლენა იქონია ამ აღმოჩენამ გარემოზე ან ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პროექტები შესაძლოა შესრულდეს მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, ეს მასწავლებლის არჩევანზეა დამოკიდებული. მოსწავლეებს შეიძლება ვთხოვოთ, თავად შეაფასონ ერთმანეთის ნამუშევრები.

ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ, რომ თავიანთ პროექტებზე მუშაობა დროულად დაასრულონ. კითხვები ინტერესების მიხედვით მოსწავლეთათვის ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი ინტერესები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში იმ შემთხვევაშიც კი, თუ

შესასწავლი თემა მათთვის რთულ საკითხებს მოიცავს. უფრო რომ დავაზუსტოთ, მასწავლებელს შეუძლია თავსატეხების, ამოცანების ან ისეთი შეკითხვების მოფიქრება, რომლებიც მოსწავლეთა ყურადღებას მიიქცევენ.

როდის გამოვიყენოთ? კითხვების მოფიქრება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია ნებისმიერ დროს. კითხვები უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლი თემის შინაარსს. ამისთვის მასწავლებელს დიდი დროის დახარჯვა არ სჭირდება, შესაბამისად, ამ ინსტრუმენტის სწავლების პროცესში რეგულარულად უნდა იყენებდეს. როგორ გამოვიყენოთ? სასურველია, მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კითხვების შემუშავებისას მასწავლებელმა გაითვალისწინოს შემდეგი ეტაპები: დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები:

1. კითხვების წინასწარ მოფიქრება – გაკვეთილის ან თემატური ერთეულის დაგეგმვისას საჭიროა კითხვების წინასწარ მოფიქრება, მათზე პასუხები გამოავლენს, რამდენად დახელოვნდნენ მოსწავლეები და რამდენად კარგად გაიგეს შესასწავლი საკითხი.

2. მოსწავლეთა ინტერესების გახსენება – მასწავლებელს ძალიან დაეხმარება მოსწავლეების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შევსებული ინტერესების ფორმის გადახედვა, ან უბრალოდ იმაზე დაფიქრება, თუ რა ინფორმაციას ფლობს თავისი მოსწავლეების შესახებ.

3. კითხვების მიწოდების ფორმა – მასწავლებელს შეუძლია კითხვები დაწეროს დაფაზე ან დასარიგებელ ფურცლებზე, ასევე შეუძლია ზეპირად დაუსვას ისინი მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ზეპირად დასვამს კითხვას, სასურველია, ის დაფაზეც დაწეროს, რათა მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ მისი შინაარსი.

4. კითხვებზე პასუხების მიღების ფორმა – მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს არჩევანის უფლებას, პასუხის გაცემა – ზეპირად თუ წერილობით.

5. კითხვებზე პასუხების გაანალიზება –ზეპირი პასუხებისას მასწავლებელი აკეთებს მოკლე ჩანაწერებს, თუ ისინი წერილობით პასუხებს წარმოადგენენ, სასურველია, მასწავლებელმა პერიოდულად შეაგროვოს ნამუშევრები და ამ გზით შეაფასოს მოსწავლეები.

წერითი დავალება რაფთ გულისხმობს მოსწავლის გააზრებულ არჩევანს წერითი დავალების შესრულებისას, რომელიც ხელს უწყობს დიფერენცირებულ სწავლებას. **რაფთ**არის შემდეგი სიტყვების აკრონიმი: როლი; აუდიტორია; ფორმა; თემა. მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ შესასწავლი მასალის შინაარსზე და მოემზადონ წერითი დავალების შესასრულებლად. თუმცა, ვიდრე წერას დაიწყებენ, მათ უნდა გადაწყვიტონ, ვის როლს მოირგებენ, ვისი პოზიციის გამოხატვას შეეცდებიან საკუთარი ნაწერით. ამის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეარჩიოს აუდიტორია, რომელსაც მიმართავს. როლისა და აუდიტორიის შერჩევის შემდეგ, მოსწავლე გადაწყვეტს, რა ფორმით სურს სათქმელის გამოხატვა და კონკრეტულად რომელ თემაზე სურს აქცენტის გაკეთება. ცხრილში მოცემულია ,,რაფთ დავალების შესასრულებლად საჭირო ფორმის შაბლონი თავისი მაგალითებით:

დესკრიპტორი	**განმარტება**	**მაგალითი**
როლი	ვის წერ?	ისტორიკოსი,მოსწავლე,უფროსი თაობა და სხვა
აუდიტორია	ვისთვის იწერება?	მოზარდები, დაწყებითი კლასის მოსწავლეები, ახალგაზრდები, მშობლები, მასწავლებლები და სხვა.
ფორმა	როგორია ნაწერის ფორმა?	სტატია, მოხსენება, წერილი, ბუკლეტი, პოსტერი და ა.შ.
თემა	რა თემას ეხება ნაწერი?	როგორ გაჩნდა ცისარტყელა, მკითხველის თეატრი, ფანტაზიის გაკვეთილი ანუ როგორ იწერება ლიტერატურული ზღაპარი.

მასწავლებელს შეუძლია რაფთ ფორმის რომელიმე ნაწილი თავად შეავსოს, მაგალითად, ჩამოთვალოს რამდენიმე თემა და სთხოვოს მოსწავლეებს, აირჩიონ ერთ-ერთი. მას ასევე შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს სრულიად შეუვსებელი ფორმა და მათ დაუტოვოს არჩევანი, საკუთარი ინტერესების მიხედვით შეავსონ იგი. ის, თუ რა ფორმით იქნება მიწოდებული ინსტრუმენტი, დამოკიდებულია სასწავლომი ზნებზე, გაკვეთილის სპეციფიკასა და მოსწავლეების მახასიათებლებზე. რაფთ არის წერითი დავალების შესრულების შემოქმედებითი სტრატეგია. იგი იძლევა დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას. როდის გამოვიყენოთ? რაფთ-ის გამოყენება შესაძლებელია ყოველთვის, როცა მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის წერითი დავალების მიცემას მოსწავლეებისთვის. მისი მიზანი შეიძლება იყოს მოსწავლეების განვითარება გარკვეული მიმართულებით, პროექტის შეჯამება, ან უბრალოდ გამოყენებული იყოს, როგორც სახალისო, დამაინტერესებელი, ან ე.წ. ყინულის გამლღობი აქტივობა. რაფთ წერითი დავალება მოსწავლეებმა შეიძლება შეასრულონ გაკვეთილზე ან მის შემდეგ, როგორც საშინაო დავალება. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, მოიძიონ ინფორმაცია ვებბმულებზე, ჟურნალებში, გაზეთებსა და წიგნებში. გარდა იმისა, რომ ეს ინსტრუმენტი დიფერენცირების კარგ შესაძლებლობას იძლევა, მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს როგორც მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ისე თემის შესწავლის პროცესში მოსწავლის მიერ საკითხის გაგებისა და გაანალიზების ხარისხიც. გარდა ამისა, ამ ფორმით შესრულებულ დავალებაში კარგად ჩანს, როგორ შეუძლია მოსწავლეს საკითხების/მოვლენების შეფასება და რა ახალი იდეები გაუჩნდა მას.

როგორ გამოვიყენოთ?

1. განსაზღვრეთ გაკვეთილის ან თემატური ერთეულის მიზანი;

2. გააცანით მოსწავლეებს რაფთ წერითი დავალების ინსტრუქცია, მისი შინაარსი და სასწავლო მიზანი;

3. უპასუხეთ მოსწავლეთა კითხვებს და სთხოვეთ, დაიწყონ მუშაობა;

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაუზიარონ თავიანთ მეწყვილეებს შესრულებული ნაშრომის პირველადი მონახაზი და მისცენ ერთმანეთს განმავითარებელი

უკუკავშირი. თუ მოსწავლეების ნაშრომის შეფასებას ჩექლისტით ან რუბრიკით აპირებთ, მაშინ გააცანით ისინი მოსწავლეებს. ეს მათ გაუადვილებს თანაკლასელისთვის უკუკავშირის მიცემას.

5. როცა მოსწავლეები დაასრულებენ მუშაობას და ჩათვლიან, რომ მზადა ქვთ ნაშრომის საბოლოო ვერსია, სთხოვეთ მათ, გადმოგცენ ისინი. სასურველია, მასწავლებელმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რამდენიმე მოსწავლეს მისცეს საშუალება, საკუთარი ნააზრევი მთელ კლასს გაუზიაროს. თუ საკმარისი დროის გამოყოფა არ ხერხდება, შესაძლებელია მცირე ჯგუფების შექმნა ერთმანეთისთვის გაზიარებისმიზნით. ეს მოსწავლეებისთვის კიდევ უფრო საინტერესოს გახდის პროცესს, რადგან მათ ნამდვილად ეყოლებათ აუდიტორია, რომელსაც მიმართავენ.

კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და კვლევაც ადასტურებს, რომ დიფერენცირებული სწავლების მიდგომები პედაგოგებისთვის საგაკვეთილო პროცესში, ასევე ესგ-ის შედეგზე გასვლის აუცილებელი და ეფექტური მეთოდია. საგანმანათლებლო სივრცეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ინტერესებისა და უნარების მიხედვით საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვას, სასწავლო სივრცის მოწყობა უკავშირდებაში და დიფერენცირებულ მიდგომებს პედაგოგიკაში. გაკვეთილი, რომელიც დაკომპლექტებულია განსხვავებული უნარებისა და დონის აღსაზრდელებით, მაგრამ ერთი ასაკობრივი საფეხურის ფარგლებში დასასწავლო პროცესი მიმდინარეობს ჰომოგენურ თუ ჰეტეროგენურ სამუშაო ჯგუფებში, წყვილებში, ინდივიდუალიზებული თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში, განსხვავებული სასწავლო დროით, დავალებებით, სასწავლო მასალებითა და მეთოდებით, სახეზეა გაკვეთილის შიდა დიფერენცირება. როცა აღნიშნული სამუშაო ფორმების ვარირება ხდება, ვიღებთ გაკვეთილის დიფერენცირებას, რომელიც, თავისმხრივ, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ამ მეთოდის გამოყენების დროს კლასში თითოეული მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სწავლებაში.

სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება, რომ ჩვენს აჩქარებულ დროში მოსწავლემ აუცილებლად უნდა განივითაროს ახალი ტიპის უნარები. მათ ხშირად 21-ე საუკუნის უნარებად მოიხსენიებენ. ესენია:

- კრიტიკული აზროვნება;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- გუნდური მუშაობა, ლიდერობა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო და მედია უნარები;
- საკუთარი სწავლების მართვა და ინოვაცია;
- კარიერის დაგეგმვა და სიახლეებთან ადაპტაცია.

მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მიერ მათი გააზრება, სათანადო მომზადება და სიახლეების ათვისება. აღნიშნული უნარების განვითარებისკენ მიმართული სიახლეები თანდათან ფართოდ და ინერგება. ახალი მიდგომები მასწავლებელსაც ახალ მოთხოვნებს უყენებს. მაგალითად, სასწავლო გეგმების რეფორმა: ტრადიციულ სახელმძღვანელოებთან ერთად სხვა ტიპის სასწავლო მასალების გამოყენება მასწავლებლისაგან სასწავლო პროცესის ახლებურად ორგანიზებას მოითხოვს. ახლებური მიდგომების დანერგვა, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში აისახება, რაც, საბოლოოდ, მათ სასწავლო შედეგებზეც მოქმედებს.

სკოლებში პედაგოგთა აზრით ახლებური მიდგომების დანერგვა, პირველ რიგში, მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში აისახება, რაც, საბოლოოდ, მათ სასწავლო შედეგებზეც იმოქმედებს. ნაშრომში ხაზგასმით დადასტურებულია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა დგას არა ერთი გამოწვევის წინაშე , ამ გამოწვევათა მიზეზი კი არაერთგვაროვანია. სკოლაში სწავლების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება თითოეულ კლასში, ამიტომ მხოლოდ ის რეფორმები შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად, რომელთა შედეგებიც კლასის მუშაობაზე აისახება.

დიფერენცირებული სწავლების მიდგომების საკვლევ სამიზნედ შევარჩიეთ აჭარის რეგიონის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები:წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აჭარის რეგიონის საჯარო და კერძო

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები: ქალაქ ბათუმის №1, №2, №3, №6, ქართულ-ამერიკული კერძო სკოლა პროგრესი, მეგასკოლა, თაობა, კავკასიის ბიზნეს სკოლა, ქართულ-ფრანგული, ნერგები. ასევე აჭარისწყლის საჯარო სკოლა, დოლოგნის, პირველი მაისის, გოგინაურის, წმინდა გრიგილ ხანძთელის სკოლა, ინაშარიძეების სჯარო სკოლა, ქედლების, ვერნების, მთისუბნის, ხულოს აგარის საჯარო სკოლა, ტუნაძეების და მარნეულის მუნიციპალიტეტის სიფელ კასუმლოს საჯარო სკოლა.

კვლევის ობიექტად შერჩეულნი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ლექტორ-მასწავლებლები. თითოეულ მათგანს დაურიგდათ გამოკითხვის ანკეტა. კვლევის მიზანი იყო მოქმედი პედაგოგებისგან გაგვეგო, რამდენად ხშიარად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს სწავლებაში, მიაჩნიათ თუ არა ეფექტურად დიფერენცირებული სწავლება ესგ-თ გათვალისწინებული სტანდარტების მისაღწევად,ასევე რა ინსტრუმენტებს, მეთოდებსა და აქტივობებს იყენებენ დიფერენცირებული სწავლებისას, გამოვიყენე ანკეტური მეთოდი, რომელიც მოიცავდა დახურულ შეკითხვებს.

პედაგოგთა მოსაზრებები და პასუხები, ასე გამოიყურება: კითხვაზე რამდენად ხშირად იყენებთ დიფერენცირებულ მიდგომებს სწავლებაში? - პედაგოგები 74,2% იძლევა დადებით პასუხს, 22,6% იშვიათად იყენებს ამ მიდგომებს, რაშიც მოიაზრება მოსწავლეთა რაოდებობა კლასში და საგაკვეთილო დროის სიმცირე.

დიაგრამა №1



როგორც მონაცემებიდან ჩანს პედაგოგთა საკმაო დიდმა ნაწილმა - დაახლოებით 74% -მა აქტიურად და წარმატებულად იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 22% -მა იშვიათად მაგრამ მაინც უპირატესობას ანიჭებენ განხილულ სწავლების მიდგომებს. მხოლოდ მცირე პროცენტი არ ანიჭებს სწავლების დროს დიფერენცირებულ მიდგომებს და სიახლეს სკეპტიკურად უყურებენ. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებმა მასწავლებლებს დაეხმარა სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში.

ანკეტურ გამოკითხვაში დახურულ კითხვებს თან ერთვოდა ღია გრაფა , სადაც რესპოდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ამა თუ იმ კითხვაზე გაცემული პასუხის კომენტარი.რა თქმა უნდა დავინტერესდით იმ რესპოდენტთა არგუმენტებით, რამდენად ეფექტურად მიაჩნიათ დიფერენცირებული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების მისაღწევად. კითხვაზე კომენტარისგაკეთების სურვილი 31პედაგოგმა გამოთქვა.მასწავლებელთაკომენტარები შინაარსობრივად ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, ამიტომ სტილის დაცვით გთავაზობთ რამდენიმე კომენტარსა და არგუმენტს:

- დიფერენცირებული სწავლება თანამედროვე განათლება სისტემის წარმართველია, მაგრამ ამასთან ერთად

ძალიან რთული განსახორციელებლად. ეფექტი ნამდვილად დიდია, განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეებთან დიფერენცირებული სწავლება ყველაზე მეტად მოხერხებულია, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა ცოტა რთულია.

- ეფექტურია, რადგან მოსწავლეს აქვს სრული თავისუფლება მასალის არჩევაში, მის შესწავლაში.

- დიფერენცირებული სწავლება ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, რაც მასწავლებელს ეხმარება სწავლება თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს მორგებული გახადოს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ბავშვი წარმოადგენს ინდივიდს, რომელსაც განსხვავებული შესაძლებლობები, სურვილები და უნარები აქვს, ვფიქრობ დიფერენცირებული სწავლება აუცილებელია იმისთვის, რომ სასწავლო პროცესმა თითოეული მოსწავლე გაიყვანოს ესგ-თ გათვალისწინებულ შედეგებზე. მაგრამ თეორია პრაქტიკისგან ძალიან განსხვავდება, პრაქტიკულად 25 მოსწვლიდან რთულია 45 წუთის მანძილზე მასწავლებელმა შეძლოს თითოეული მოსწავლისთვის ერთნაირი დოზით მიიტანოს ინფორმაცის. პირადად ჩემთვის, როგორც კლას-კომპლექტთან მომუშავე მასწავლებლებისთვის, არ მაქვს იმის ფუფუნება, რომ ყველა გაკვეთილზე შევძლო თითოეულ მოსწავლესთან ინდივიადუალურად ვიმუშავო, სამწუხაროდ, საგაკვეთილო დრო ამის საშუალებას არ მაძლევს.

- ვფიქრობ, რომ დიფერენცირებული სწავლება ეფექტურია, რადგან მოსწავლეები უფრო მეტად არიან ჩართული სასწავლო პროცესში, უზიარებენ აზრებს ერთმანეთს, ეს კი ხელს შეუწყობს ესგ-ის გათვალისწინებულ სტანდარტებს.

- დიფერენცირებული სწავლების მიდგომების სწორად გამოყენებით საკმაოდ წარმატებით შეგვიძლია გავიდეთ ესგ-ს მიზნებამდე.

- დიფერენცირებული სწავლების მიდგომები აუცილებელი და გამართლებული არჩევანია ჩემთვის.

- დიფერენცირებული სწავლება თანამედროვე მიმართულებაა განათლების სისტემაში, რომლის ყურადღების ცენტრშიც მოსწავლე და მისი შესაძლებლობები დგას. დიფერენცირებული სწავლება ეფექტურია იმ მხრივ, რომ აქცენტი კეთდება ახალი მასალის კარგად გააზრებაზე, ცოდნის ხარისხზე და არა გაზეპირებაზე. ყურადღება ექცევა თითოეულ მოსწავლეს და დავალებებიც ისეა შერჩეული, რომ ყველა მოსწავლის შესაძლებლობებია გათვალისწინებული.

- ჩემი აზრით, სწავლების დიფერენცირებული მიდგომები ეფექტური საშუალებებია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- ვთვლი, რომ ძალიან მნისვნელოვანია, რადგან ამ მიდგომებით ხდება თითოეული მოსწავლის თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

- ეფექტურია იმდენად რამდენადაც ხშირად ინდივიდუალური მუშაობა ეფექტურად წარმოაჩენს მოსწავლის ცოდნას.

- დიახ, ეფექტურია, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებ მოსწავლეთა რაოდენობის გამო ამ მიდგომების გამოყენებას სწავლებისას.(კლასში მყავს 20-25 მოსწავლე).

- ეფექტურია, თუ მასწავლებელი მიზანთან შესაბამისობაში გამოიყენებს იმ აქტივობებს და სტანდარტებს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს წინსვლაში.

- ვფიქრობ, რომ დიფერენცირებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას.

- ეფექტურად მოქმედებს იმისთვის, რომ სასწავლო პროცესი კარგად წარიმართოს.

როგორც პედაგოგთა კომენტარებიდან, ჩანს მათ სიახლისადმი დადებითი სურვილს დიფერენცირებული სწავლების მიდგომების სასწავლო პროცესში გამოყენებას მიზანშეწონილ და აუცილებელ მეთოდად მიიჩნევენ. ამ საკითხს წინა

პარაგრაფებშიც არაერთხელ შევხებივართ, პედაგოგები ემხრობიან და ცდილობენ რაც შეიძლება აქტიურად დანერგონ სწავლებაში, დასახელდა გარკვეული მიზეზები, რომ დროის სიმცირის გამო რთულდებოდა თითოეული მოსწავლის ინდივიდულალური სწავლების შესაძლებლობა. მოსწავლისათვის სწავლა სიახლის შემეცნება და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარის განვითარებაა. ცოდნის გადაცემის ტრადიციული მეთოდები განათლების მყარ საყრდენს წარმოადგენს, თუმცა ყოველ ახალ თაობას სწრაფად ცვალებადი გარემო ახალი ტიპის ამოცანებს უყენებს. ამ სასწავლო ამოცანების ერთობლივად დაძლევის გზაზე სიახლის მიმართ ღია პედაგოგი უკეთესად შეძლებს იყოს მოსწავლის მთავარი მოკავშირე და გახსნას მისი ინდივიდუალური პოტენციალი.

დიფერენცირებული გაკვეთილის თავისებურებათა კვლევა-განხილვის პროცესში გამოიკვეთა დიფერენცირებული გაკვეთილის მოდელები:

რაც უფრო მჭიდროა ძირითადი საგაკვეთილო კონცეფციებისა და დიფერენცირებული გაკვეთილის თავისებურებათა კავშირი, მით უფრო მყარია გაკვეთილის სტრუქტურული ერთეულების, კერძოდ, მეთოდების, შესრულების ფორმების, დავალებებისა და გაკვეთილის შემადგენელი კომპონენტების მიზეზ შედეგობრივი კავშირი. ანკეტა-კითხვარი ითვალისწინებდა დახურულ კითხვას , რომლის მიხედვით პედაგოგებს ვთხოვდით დაესახელებინათ რა ინსტრუმენტებს, მეთოდებასა და აქტივობებს იყენებენ დიფერენცირებული სწავლებისას. დახურულ კითხვაზე მხოლოდ 31 გამოკითხულმა ისურვა პასუხის გაცემა. მასწავლებელთა პასუხები ამ კითხვაზე მეტად ერთფეროვანი და თითქმის ერთი და იგივე შინაარსისაა. პასუხები კი ასეთია:

-მრავალ აქტივობას, გააჩნია ჯგუფს. მაგ: გმირის რუკა, პირამიდა, ილუსტრაციების დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა,ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით მოთხრობის შედგენა, როლური კითხვა, პაუზებიტ კიტხვა, წერა ფანტაზია, სწავლა შეცდომების გასწორებით, წერა მგიდის ირგვლივ და სხვა. ზოგჯერ რაღაც მეთოდის თავად გამოგონებაც მიწევს. მთავარია მოსაბეზრებელი არ იყოს და თამაშ-თამაშით შემოესწავლოს.

-დავყოფ სხვადასხვა მოსწავლეებს და ყოველთვის იცვლება მოსწავლე ჯგუფში და ვაძლევ მათი დონის შესაბამის დავალებებს.

-ვცდილობ სწავლებაში ხაზი გავუსვა ინდივიდუალიზმს,სადაც ყველა მოსწავლე შეძლებისდაგვარად გავა შედეგზე.

-მოსწავლეებს ვყოფ ინტელექტუალური განვითარების მიხედვით, მათი მომავალი განვითარებისა და შემდგომი გაერთიანების მიზნით. ვაძლევ თავისუფლებას მასალის არცევაში, მის შესწავლაში.

-მაგალითად, ხშირად განსხვავებული ამოცანების და ტესტების დამოუკიდებლად შესრულებას.

-მოსწავლეები თავად ირჩევენ დავალების ვარიანტს, სხვადასხვა დონის მოსწავლეებს სხვდასხვა დონის და სირთულის დავალებები ეძლევათ.

-ვიყენებ ჯგუფურ მუშაობას, როლურ თამაშებს. ასევე რესურსებს, პოსტერების, პატარა ბარათებს და სხვა მეთოდებს, თითოეულ აქტივობაში თანაბრადაა ჩართული მოსწავლეები.

-ვიყენებ ვიზუალურ, კინესთეტიკურ და სმენით მოდალობებით შექმნილ მეთოდებს და აქტივობებს.

-ვიყენებ ჯგუფურ, წყვილებში, ინდივიდუალურ და მტელ კლასთან მუშაობის მეთოდებს. ასევე საუბრის მეთოდს, განგრძობითი კითხვის მეთოს.

-ძირითადად ვიყენებ კომპიუტერს,სახალისო აქტივობებს, თვალსაჩინოებს, თამაშის მეთოდს და გამარტივებულ დავალებებს ა.შ.

როგორც გამოკითხულთა კომენტარებიდან იკვეთება, მასწავლებლები მრავალფეროვან სასწავლო ინსტრუმენტებს იყენებენ და ცდილობენ თითოეული მოსწავლის უნარებზე და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მეთოდი და აქტივობები შეარჩიონ, რათა საგაკვეთილო პროცესი აქტიური, სახალისო და მრავალფეროვანი იყოს თითოეული მოსწავლისთვის.

კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში პედაგოგთა დიდმა ნაწილმა დიფერენცირებული სწავლების მეთოდები სასწავლო პროცესში ეფექტურ და მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნიეს.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღებია ის მეთოდები და აქტივობები, რომლის საშუალებითაც კლასში შეიქმნება უსაფრთხო სასწავლო გარემო და არ განისაზღვრება სუსტი და ძლიერი მოსწავლეები.

კვლევის საფუძველზე პედაგოგთა მცირე ნაწილმა დაასახელა მიზეზი დიფერენცირებული სწავლების მეთოდებისადმი, რომ დღეს რთულია კლასში თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით აქტივობების მორგება ყოველ გაკვეთილზე, მაშინ როცა კლასში სულ მცირე 25 მოსწავლე ჰყავთ და საგაკვეთილო დრო 45 წუთია. მნიშვნელოვანია, როგორც სკოლებმა, ასევე პედაგოგეგმა გაითვალისწინონ,რომ ეს არის სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინისა და სურვილების გაგება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი;

დიფერენციაციის მიზანია მოსწავლეთა უნიკალური უნარების და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას. დიფერენცირებული სწავლების ეფექტიანი გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასთან და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით. დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლის განსწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

ამრიგად, დიფერენცირებული სწავლების მიდგომების აქტიური დაგეგმვას ასწავლო პროცესში შესაძლებელია წარმატებულად წარიმართოს საგაკვეთილო ნორმებისა და სასწავლო შინაარსის მუდმივი მონაცვლეობის ფონზე, სადაც ცვილილების აუცილებლობას განაპირობებს აღსაზრდელთა განსხვავებული შესაძლებლობები და ინტერესები.

დასკვნები და რეკომენდაციები

•სასწავლო მასალების, რესურსების, სასწავლო გარემოს მოდიფიცირებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სამი ძირითადი ასპექტი: 1. სწავლის შესაძლებლობა; 2. სწავლის მოტივაცია; 3. სწავლის ეფექტიანობა. ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ მოსწავლის მზად ყოფნას, ინტერესსა დასწავლას. ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არა რსებობს სტანდარტული" მოსწავლე და არ არსებობს იდეალურიხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება.

•კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით მასწავლებელი ხელს უწყობს ვიზუალურად შემსწავლელ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში.

•სმენით შემსწავლელებს მასწავლებელმა წერითი სამუშაოს ნაცვლად უმჯობესია დავალებად შეურჩიოს ზეპირი გამოსვლა.

•კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას დიდ სირთულეებს წააწყდებიან პედაგოგები, ლექციური ტიპის გაკვეთილების ჩატარებისას. ასეთ მოსწავლეებს უყვართ მოდელები დახშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის, თავიანთ ემოციებს გამოხატავენ სხეულის ენით".

•სწავლებისას სხვადასხვაგვარ მეთოდიკას უნდა მივმართოთ _ ისეთ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენის და მოძრაობის გამოყენებას სასწავლო აქტივობებში.

•სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს განსხვავებული პერსპექტივიდან შევხედოთ სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რაც ტრადიციული სწავლებისას შესაძლოა ვერც კი შეგვემჩნია.

•როდესაც სასწავლო მასალა მეტნაკლებად ახლოსაა მოსწავლეთა ინტერესებთან, სწავლის პროცესი უფრო სახალისო ხდება, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის მოტივაციას. მასწავლებელმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია მოსწავლეთა როგორც ზოგადი, ასევე გარკვეულ საგანთან, თემასთან ან შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებული ინტერესების შესახებ.

- სწავლების დროს მოსწავლეებზე დაკვირვება მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს. სამუშაო პროცესზე დაკვირვება მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, მეტი გაიგოს მოსწავლეების შესაძლებლობების, ინსტერესების, პიროვნული თავისებურებებისა თუ სოციალური უნარების შესახებ; აგრეთვე, დაუყოვნებლივ გასცეს კონსტრუქციული უკუკავშირი და წაახალისოს მათი მუშაობა.
- კონსტრუქციული უკუკავშირისას მასწავლებელმა დეტალურად უნდა აღწეროს, რა აქვს გასაუმჯობესებელი მოსწავლეს, რასაც თან უნდა დაურთოს კონკრეტული მითითებები და რჩევები.